

ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში ჰააგის კონვენციის მიხედვით



პროექტის შემაჯამებელი ანგარიში

თბილისი, 2022

შინაარსი

პროექტის მიმდინარეობდა და მნიშვნელობა.....	4
პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო ცნობიერების კამპანია.....	7
პროექტის ბენეფიციარ ნანა ეჯიბიას შეფასება	9
პროექტის მოხალისე შოთა იასაშვილის შეფასება	10
პროექტის ფარგლებში, პროფესიული ტრენინგი	11
პროექტის ფარგლებში, გადამზადებული პირები.....	15
კონვენცია და მისი ხელმომწერი სახელმწიფოები.....	17
კონვენცია ქართულ ენაზე	18
კონვენციის იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობაში	25
კონვენციის ფარგლებში, სასამართლოს მორიგების აქტის პროექტი	27
საქართველოს სასამართლოს გადანყვეტილებები და უახლესი პრაქტიკა.....	29
ჩვენს შესახებ	41

**პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი**

**არჩილ კაიკაციშვილი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი
ანა ფუტყარაძე, მრჩეველი იურისტი
კალე ურიდია, იურისტი, საერთ. მიმართულების მენეჯერი,
ლიზი ზუხბაია, იურისტი, პროექტის კომუნიკაციის მენეჯერი
სოფიო ქელიძე, იურისტი
ბერდია ჯაჯანიძე, იურისტი
გვანცა ცერცვაძე, იურისტი
შოთა იასაშვილი, მოხალისე**

**მარიამ ხიზანიშვილი
ფინანსური მენეჯერი**

С ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

**ორგანიზაციის საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და ახალი
ამბების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.barristers.ge**

FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi

<http://www.youtube.com/youngbarristers>

მისამართი: საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ #171

ორგანიზაციის ტელეფონი: 2 90 78 77, 599 291202

ორგანიზაციასთან კომუნიკაცია – 599 291202

ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@gmail.com

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094

დაარსების თარიღი: 09 ივლისი, 2012 წელი

მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი,

ანგარიშის ნომერი: GE31BG000000161544925GEL



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS



საქართველო წარმოადგენს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი, სრულად განისაზღვრა ის საკანონმდებლო საფუძვლები და ინსტრუმენტები, რომლითაც არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ქართულ სასამართლოში წარდგენილი სარჩელის განხილვა უკავშირდება. ამ პროცესში, კანონმა ცალსახად განსაზღვრა, რომ სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომლის მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება, მათ შორის ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონვენციის ფარგლებში მოქმედი შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა.

საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ არაერთი რეფორმა განახორციელა, რომელიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინსტიტუციონალიზაციას შეეხება. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, ყველაზე თვალსაჩინოდ კონსტიტუციური რეფორმის შედეგებში გამოვლინდა. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ამ კუთხით, ყურადღებას იმსახურებს სახელმწიფოს ძალისხმევა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვთა უფლებების სფეროში, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული კანონმდებლობის დაახლოება და ჰარმონიზაცია ევროკავშირის სტანდარტებთან. კერძოდ, ბავშვთა უფლებათა კოდექსის მიღება, რომელმაც დაცვის განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვა ბავშვი.

ამიერიდან თითოეული დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვის დროს, არსებით მნიშვნელობას იძენს ბავშვთა უფლებათა ადვოკატირება, მისი დაგეგმვა და სათანადო გულმოდგინებით დაცვა, თუმცა სულ სხვა საჭიროებებს, მიდგომებს, გამოცდილებასა და დაცვის უზრუნველყოფას მოითხოვს ჰააგის კონვენციის ფარგლებში წარმოებული საქმეების ადვოკატირება. ამ შემთხვევაში, სახეზეა საქართველოს ვალდებულება სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მეშვეობით, სრულად შესრულდეს ჰააგის კონვენციის მოთხოვნები, გარანტირებული იქნეს სამართლიანი სასამართლოს უფლება, მათ შორის დაცვის უფლებაზე ხელმისაწვდომობით და განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა.

ქართულ სასამართლოში, ჰააგის კონვენციის ფარგლებში სარჩელების განხილვის დროს, მხარეები, უმეტეს შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, თუმცა ბოლო წლების სასამართლო დავების ტენდენციაც აჩვენებს, რომ დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეები არიან, რომლებიც ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ და თანაცხოვრების მანძილზე ოჯახური უთანხმოებების გამო, განსაკუთრებით COVID19-ის პირობებში, დატოვეს ჩვეული საცხოვრებელი ადგილი, არასრულწლოვანებთან ერთად მოახდინეს საქართველოში გადმოსვლა

ან დაბრუნება, ბავშვის მეორე კანონიერმა წარმომადგენელმა - მშობელმა კი სარჩელით მომართა საქართველოს და მოითხოვა შვილის/შვილების ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება.

ასეთ დროს, მხარეები არაერთ პრაქტიკულ და არსებით პრობლემას აწყდებიან - არაკვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებას, ვინაიდან ქართველი ადვოკატები არ ფლობენ ინფორმაციას ჰააგის კონვენციის მიზნებსა და ამოცანებზე, კონვენციის ფარგლებში წარმოებული დავების დასაბუთება გააზრებულია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით საოჯახო დავების გადაწყვეტისთვის დადგენილი წესებით, არ არის ცნობილი ეროვნულ და საზღვარგარეთის ქვეყნის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი, საერთო სასამართლოებში საქმის წარმართვის, მტკიცებულებების შეგროვებისა და დაცვის სტრატეგიის სათანადოობა, არსებობს იურიდიული მომსახურების არაგონივრული ხარჯი, საქმის მასალების ქართულ ენაზე შედგენისა და ნოტარიული წესით დამოწმების ხარჯი, სასამართლოსთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან სახელმწიფო ენაზე კომუნიკაციის პრობლემა. ამასთან, პრობლემა მოდავე მხარეებსა და წარმომადგენელს შორის ენობრივი ბარიერის თაობაზე და სხვა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საგრანტო პროგრამის („საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, ინოვაციური სერვისების დანერგვა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია“) ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში წარდგენილი პროექტის: „ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში ჰააგის კონვენციის მიხედვით“ გამარჯვებულად გამოცხადდა. პროექტი 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ივნისის ბოლომდე მიმდინარეობდა და სამი მნიშვნელოვანი მიმართულება და ჩართულობა მოიცავს: 1. პროფესიული ტრენინგის მომზადება და ჩატარება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატებისთვის, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის 2. ეროვნულ დონეზე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება კონვენციით მოცული უფლებების შესახებ და 3. უფასო ადვოკატირება კონვენციის ფარგლებში ქართულ სასამართლოებში წარმოებულ დავებზე.

განხორციელებული პროექტის მიზანს წარმოადგენდა:

- „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის მიზნებისა და ამოცანების საჯარო პოპულარიზაცია და ადვოკატირება;
- საქართველოს, როგორც კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოსა და ბავშვთა უფლებების დაცვაზე რეფორმატორი ქვეყნის პოზიტიური ვალდებულებების წარმოჩენა;
- მოქალაქეების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება ჰააგის კონვენციის გამოყენებისა და მიზნების თაობაზე;
- იურიდიული სფეროს წარმომადგენლების - ადვოკატების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება და სტრატეგიების დაგეგმვა კონვენციით მოცულ საქმეებზე;
- განმცხადებელი ბენეფიციარების წარმომადგენლობა საერთო სასამართლოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობის დროს;
- ჰააგის კონვენციის ფარგლებში, საქართველოში წარმოებული დავების შემთხვევაში, იურიდიულად მოწესრიგებული გარემოს შექმნა.



პროექტის ამოცანებს წარმოადგენდა:

- პროექტის მიზნებისა და ამოცანების, ჰააგის კონვენციის გამოყენებისა და ადვოკატირების მნიშვნელობის თაობაზე საინფორმაციო და შეფასებითი მასალისა და გამოცემების მომზადება და ბეჭდვა, პროექტით მოცულ საკითხებზე, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და მომსახურების დოკუმენტების გაფორმება, სამიზნე პარტნიორ ჯგუფებთან ეფექტიანი კომუნიკაციის წარმოება;
- საინფორმაციო კამპანიის მომზადება ქ. თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, მოქალაქეების მიმართ ჰააგის კონვენციის გამოყენებისა და მიზნების თაობაზე, საინფორმაციო ბუკლეტების გადაცემა და კამპანიის მნიშვნელობის განმარტება;
- ტრენინგის მომზადება და ჩატარება ადვოკატების მონაწილეობით, ჰააგის კონვენციის ფარგლებში წარმოებულ დავებზე შესაბამისი სტრატეგიების დაგეგმვის არსებული გამოცდილების გაზიარება, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა შემდგომი სამართალწარმოების საქმეებისთვის;
- განმცხადებელი ბენეფიციარის სამართლებრივი პრობლემების მოგვარების პროცესში, კვალიფიციური იურისტებისა და ადვოკატების მონაწილეობა, წარმომადგენლობის განხორციელება საერთო სასამართლოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობის დროს, განცხადებების, მიმართვების, სარჩელების, შესაგებლების, საჩივრების მომზადება, გაგზავნა, მათზე მიდევნება და გადაწყვეტილებების შესაბამისი რეაგირება;
- ჰააგის კონვენციის გამოყენების მნიშვნელობისა და პროექტის მიმდინარეობის შესახებ, ქართულ და ინგლისურ ენაზე, სპეციალური ვიდეო-რგოლის მომზადება, სოციალური მედიის პლათფორმებსა და ახალი ამბების სააგენტოების ვებ-გვერდზე განთავსება, შესაბამისი რეკლამირება;
- ჰააგის კონვენციის გამოყენების მნიშვნელობისა და პროექტის მიმდინარეობის შესახებ თითოეული ღონისძიებისა და აქტიურობის შესახებ მომზადებული მედია-რელიზის ქართულ და ინგლისურ ენაზე გავრცელება, ფოტო-ქრონიკის შექმნა, შესაბამისი განთავსება და რეკლამირება ორგანიზაციის ვებ-გვერდსა და სოციალური გვერდის მეშვეობით;
- პროექტის მიმდინარეობის შესახებ შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება, შედეგების შეჯამება და დონორის/საზოგადოების მიმართ წარდგენა/პრეზენტაცია.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდმა, ყველა კომპონენტში შეასრულეს პროექტის მიზნები და ამოცანები. წინამდებარე ანგარიში მოიცავს შესრულებული საქმიანობის ამსახველ მასალას. პროექტის მანძილზე, უზრუნველყოფილი იქნა 3 ბენეფიციარის იურიდიული კონულტირება. აქედან, 1 ბენეფიციარის საქმეზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება სრულად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში არსებულ დავაზე, 1 ბენეფიციარის საქმეზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეტაპზე, სამოქალაქო ადვოკატირების განხორციელება, ხოლო 1 ბენეფიციარის საქმეზე შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება უკრაინიდან საქართველოში არამართლზომიერად გადაადგილებული ბავშვის დაბრუნების საკითხზე. ამასთან, სამოქალაქო კამპანიისა და პროფესიული ტრენინგის ჩატარება. შესაბამისი საინფორმაციო მასალისა და ორენოვანი ბუკლეტის მომზადება, პროექტისა და კონვენციის მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო კლიპის მომზადება, თითოეული აქტიურობის მიმართ მედია-დაფარულობის უზრუნველყოფა, პროექტის განხორციელების მანძილზე, პროექტის პოპულარიზაციის მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობა და პროექტის პრეზენტაცია.



საინფორმაციო კამპანია ჰააგის კონვენციის ფარგლებში

ორგანიზაციამ „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის პოპულარიზაციისა და ეროვნულ დონეზე არსებული ადვოკატირების შესაძლებლობების გაცნობის მიზნით, ქ. თბილისში, ცნობიერების ამაღლების სამოქალაქო კამპანია ჩაატარეს.

ორგანიზაციის აღმასრულებელმა გუნდმა, საქართველოს და სხვა ქვეყნის მოქალაქეებს სპეციალური საინფორმაციო ცნობარი გადასცეს, სადაც დეტალურად იქნა აღწერილი კონვენციის მიზნები და ამოცანები, ამასთან კონვენციის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე სასამართლო დავების წარმოების შემთხვევაში, უფასო იურიდიული მომსახურების პირობები, საკონტაქტო ინფორმაცია და პროექტის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაცია.

ორგანიზაციამ ცნობარი ქართულ და ინგლისურ ენაზე მოამზადა და გამოსცა, სამოქალაქო კამპანიის ფარგლებშიც, ძირითადად, სამიზნე ჯგუფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, ვინაიდან „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ფარგლებში, საქართველოს სასამართლოში, ძირითადად მათ შორის მიმდინარეობს დავა ბავშვის ჩვეული საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით. ორგანიზაციის წევრებმა 700-ზე მეტ მოქალაქეს გადასცეს საინფორმაციო ცნობარი.

ორგანიზაციის წევრები მოქალაქეებს განუმარტავდნენ, თუ რა ინფორმაციის მატარებელი იყო საინფორმაციო ბუკლეტი და რა პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია. მოქალაქეები ყურადღებით და ინტერესით ეცნობოდნენ მიღებულ ინფორმაციას.

პროექტის შემადგენელი ნაწილი საინფორმაციო კამპანიის მომზადებაც გახლდათ. ქართულ სასამართლოში, ჰააგის კონვენციის ფარგლებში სარჩელების განხილვის დროს, მხარეები, უმეტეს შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, თუმცა ბოლო წლების სასამართლო დავების ტენდენციაც აჩვენებს, რომ დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეები არიან, რომლებიც ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ და თანაცხოვრების მანძილზე ოჯახური უთანხმოებების გამო, განსაკუთრებით COVID-19-ის პირობებში, დატოვეს ჩვეული საცხოვრებელი ადგილი, არასრულწლოვნებთან ერთად მოახდინეს საქართველოში გადმოსვლა ან დაბრუნება, ბავშვის მეორე კანონიერმა წარმომადგენელმა - მშობელმა კი სარჩელით მომართა საქართველოს და მოითხოვა შვილის/შვილების ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ პროექტის მიზანია, მოახდინოს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის პოპულარიზაცია, რაც გამოიხატება სამი კომპონენტის ერთობლიობით: ა) პროფესიული ტრენინგის მომზადება და ჩატარება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატებისთვის, ბ) ეროვნულ დონეზე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება კონვენციით მოცული უფლებების შესახებ და გ) უფასო ადვოკატირება კონვენციის ფარგლებში ქართულ სასამართლოებში წარმოებულ დავებზე.







ნანა ეჭია, ბენეფიციარი

გერმანიიდან საქართველოში 2020 წლის სექტემბერში დავრბუნდი. ეს პერიოდი ჩემთვის საკმაოდ რთულ მოვლენებს უკავშირდება. მე უნდა დამეწყო ჩემი და ჩემი არასრულწლოვანი შვილის უფლებების დაცვა საქართველოს სასამართლოში, რათა ბავშვის საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრულიყო დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი სასამართლოში წარვადგინეთ, კანონით დადგენილ ვადაში, გაიგზავნა და ჩაბარდა მოპასუხე მამას გერმანიაში, რომელმაც გადაწყვიტა მოემართა საქართველოს სასამართლოსთვის და დაეწყო დავა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის ჰააგის კონვენციის“ ფარგლებში, ბავშვის საქართველოდან გერმანიაში დაბრუნების მოთხოვნით.

ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა გამოცდილი პროფესიონალების გუნდსა და ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებს“ ვანდე. სწორედ მათი დამსახურებით ჩემი ცხოვრება და ბავშვის განვითარება მშვიდ და ემოციურად სწორ დინებას დაუბრუნდა. „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის ჰააგის კონვენციის“ ფარგლებში დავამ არაერთი არსებითი ასპექტი მოიცვა, რადგანაც ჩემს წინაშე მდგარი საკითხების სამართლებრივი გადაწყვეტა არ იყო არც მარტივი ამოცანა და არც გარანტირებული შედეგით მოცული. ორგანიზაციამ შეძლო სიმართლის დამტკიცება, არაერთი მტკიცებულების შეგროვება და სასამართლოს დარწმუნება, რომ გერმანიაში არასრულწლოვანის დაბრუნება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისი არ იქნებოდა. ბავშვი ძალადობრივი გარემოდან დისტანცირდა, მისი ამ გარემოში დაბრუნება კი, ყოველგვარ დასაბუთებას ცდებოდა. ჩვენ პირველი ინსტანციის სასამართლო წარმატებით დავასრულეთ, კონვენციის ფარგლებში, საქართველომ უარი განაცხადა ბავშვის გერმანიაში დაბრუნებაზე. სამართალწარმოება გრძელდება.

ამ პროცესში, ჩემთვის აღმოჩენა იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პროექტის განხორციელება. სააპელაციო სასამართლოს სამართალწარმოების ეტაპზე, მე გავხდი პროექტის და ორგანიზაციის ბენეფიციარი. გარდა კვალიფიციური სამართლებრივი დახმარებისა, პროექტის ფარგლებში დამიფინანსდა განეული სამართალწარმოების მომსახურების ხარჯი, არაერთი დოკუმენტის თარგმანი, ნოტარიუსის მომსახურება. რა თქმა უნდა, სრულიად უსასყიდლოდ მოხდა ჩემი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სასამართლოში, რაც ჩემთვის იყო ძალიან დასაფასებელი. დავრწმუნდი, რომ სახელმწიფო ზრუნავს თავის მოქალაქეზე. იურიდიულად მონესრიგებულმა გარემომ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა სახელმწიფოს დამოკიდებულება ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით. მადლობა პროექტს და ორგანიზაციას იმისთვის, რომ აჩვენეს დაცვის განხორციელების საუკეთესო მაგალითი.



შოთა იასაშვილი, მოხალისე

როდესაც ვსაუბრობთ ბავშვთა უფლებებზე საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მათი დაცვა არის არსებითი მნიშვნელობის. სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმები იმისათვის, რომ ბავშვის ინტერესები იყოს დაცული და რეალიზებული საზოგადოებაში.

როდესაც უნივერსიტეტში გავიარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სადაც ცვლილების სახით დამატებული იყო ჰააგის 1980 წლის კონვენციის საპროცესო სამართლებრივი მექანიზმები, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლო სისტემას უნდა განეხილა ამ თემატიკის დავები, დასაწყისშივე დიდი ინტერესით მოვეკიდე დასახელებულ საკითხს.

როგორც კი ცნობილი გახდა ჩემთვის, რომ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გაიმარჯვეს, იმნუთიერად დავინტერესდი მომავალში დაგეგმილი ღონისძიებების არსითა და მნიშვნელობით. უმაღვე გამოვთქვი ინტერესი პროექტის მიმდინარეობის პროცესში, როგორც მოხალისეს, მიმელო მონაწილეობა და ჩემი მზაობა დავუფიქსირე აღმასრულებელი გუნდის წევრებს.

პროექტში, სამოქალაქო აქტივისტის სახით ჩართვა ჩემთვის დადებით მოგონებებთან და ემოციებთან არის დაკავშირებული. ვგრძნობ, რომ ვიყავი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის ნაწილი და ჩემი წვლილი შევიტანე ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრაქტიკულ რეალიზებაში. მაძლობას ვუხდი ორგანიზაციას იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომცა ამ დიდებული საქმის ნაწილი ვყოფილიყავი. მოხალისეობის დროს მიღებული პრაქტიკული ცოდნა ჩემი პროფესიული განვითარებისა და წინსვლისთვის იქნება არსებით მნიშვნელობის და ვიმედოვნებ წარმატების გარანტორიცი. როგორც ნელსონ მანდელა ამბობდა: „საზოგადოების ნამდვილი ბუნება მათი ბავშვებთან მოქცევით ვლინდება.“ ამ პროექტის ფარგლებში, როგორც სახელმწიფომ და როგორც ორგანიზაციამ, ამ სიტყვების სრული ჭეშმარიტება დაამტკიცეს.

წინამდებარე პროექტის განხორციელების პროცესში, ორგანიზაციის გუნდს გააჩნდა პრაქტიკული და პროფესიული გამოცდილება პროექტის განხორციელებასა და მართვაზე. ჩვენ ქართულ სასამართლოში 2019-2020 წელს დავასრულეთ, 2020-2021 წლებში კი ვანარმობთ ჰააგის კონვენციის ფარგლებში არსებულ საქმეებს. შესაბამისად, ჩვენთვის ცნობილი გახლდათ სამართალწარმოების პროცესში ყველა ის ეტაპი, მიმართულება, გამოწვევა და პრობლემა, რომელიც არსებითად აჩენს საჭიროებას მოგვეზადებინა საპროექტო წინადადება და დავგვესახა შესაბამისი ღონისძიებები.

კერძოდ, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები გადამზადებულიყვნენ კონვენციის ფარგლებში დავებზე კვალიფიციური უნარ-ჩვევებისთვის, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს ჰქონდეთ სწორი ხედვა და ინფორმაცია ჰააგის კონვენციის ფარგლებში დაცული ბავშვთა უფლებებისა და მხარეთა საპროცესო მოვალეობებზე და დასახელებული პროექტის ფარგლებში, შეგვეთავაზებინა მომსახურების არჩევანი და სერვისი, რომელიც მოიცავდა ქართულ სასამართლოში წარმოებულ დავებზე უფასო ადვოკატირებას და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გარანტიებს.

პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებმა მიიღეს უფასო იურიდიულ მომსახურება, ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენლებმა კი - უფასო ტრენინგი მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლების მიმართულებით. რაც შეეხება სამოქალაქო ცნობიერების კამპანიას, არსებითად მნიშვნელოვანია, როგორც პირისპირ შეხვედრები მოქალაქეებთან და კონვენციის პოპულარიზაცია, პროექტის არსებობაზე საუბარი, ასევე სოციალური მედიის და პლატფორმების გამოყენებით მთლიანი საზოგადოების ინფორმირება.

ჩვენი თანამოქალაქეების უკან დგას საზღვარგარეთ მცხოვრები ოჯახის წევრები, ახლობლები, დაინტერესებული პირები, რომლებიც, შესაძლებელია, სისტემატიურად იმყოფებოდნენ ოჯახური სირთულეების ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სხვა ფორმის ძალადობების ქვეშ, გარემო არსებითად აზიანებდეს ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას და მათთვის ჰააგის კონვენციის ფარგლებში მოქმედება, შესაძლებელია, წარმოადგენდეს ერთადერთ გამოსავალს.

პროექტის განხორციელება უზრუნველყო ახალგაზრდულმა გუნდმა, რომელსაც გააჩნდა შესაბამისი გამოცდილება. ორგანიზაციას სახელმწიფოსთან პარტნიორობით, აქვს მსგავსი შინაარსის მქონე პროექტის განხორციელების წარმატებული გამოცდილება. მაგალითად, „სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების სამართლებრივი უზრუნველყოფა“, დონორი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2014-2016 და გამოცდილება „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ფარგლებში, ქართულ სასამართლოში ორი საქმის წარმოების თაობაზე.

მთლიანობაში, „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდმა შეძლო პროექტის წარმატებით განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა დაუგეგმავი გამოწვევა: პანდემიის შედეგები და რუსეთ-უკრაინის ომის წარმოება, რამაც მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელების დროის ცხრილი, მათ შორის საქართველოშიც შეცვალა, გუნდს მოუხდა პროექტის ვადის გახანგრძლივება და პროექტით გათვალისწინებული აქტიურობების ცხრილის ცვლილება, პროექტი ყველა დასახულ მიზანში შესრულდა.



ჰააგის ბავშვთა კონვენციის ფარგლებში, ქართველი ადვოკატები და იურისტები გადაზიდნენ



„ახალგაზრდა ადვოკატებმა» საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამით გამარჯვებული პროექტ: „ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში ჰააგის კონვენციის მიხედვით“ ფარგლებში, პროფესიული გადამზადების ტრენინგი ჩაატარეს. ტრენინგის თემას წარმოადგენდა: „როგორ წარვმართოთ საქართველოს სასამართლოში კონვენციის ფარგლებში არსებული დავები: ტექნიკა და პრაქტიკა», რომელშიც მონაწილეობა ადვოკატებმა და იურისტებმა მიიღეს. შეხვედრაზე გაზიარებული იქნა გამოცდილება, რომელიც არსებობს კონვენციის დავების წარმართვასთან საქართველოში, ასევე გაცნობილი იქნა საკანონმდებლო ჩარჩო და კონვენციის მოქმედების ფარგლები, საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ევროსასამართლოს პრაქტიკა.

ტრენინგის ბოლოს გაიცა სერთიფიკატი და ტრენინგში მონაწილე პირების შესახებ სია გადაგზავნილი იქნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, როგორც კონვენციის განსაზღვრულ ცენტრალურ ორგანოსთან საქართველოში, რათა ფორმირდეს ბაზა საქართველოში კონვენციიდან წარმოშობილი დავებში გადაზიდვითი ადვოკატების/ იურისტების არსებობის შესახებ. ორგანიზაციამ რეგისტრაციის პროცესი გახადა სრულიად გამჭვირვალე და 2 კვირის განმავლობაში, ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო შესაბამისი ანკეტა შეევსო.

პროექტის შემადგენელი ნაწილი ტრენინგის მომზადება გახლდათ. ასევე, პროექტის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო კამპანიაც და ორგანიზაციის აღმასრულებელმა გუნდმა, საქართველოს და სხვა ქვეყნის მოქალაქეებს სპეციალური საინფორმაციო ცნობარი გადასცეს, სადაც დეტალურად იქნა აღწერილი კონვენციის მიზნები და ამოცანები.

საქართველო წარმოადგენს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი, სრულად განისაზღვრა ის საკანონმდებლო საფუძვლები და ინსტრუმენტები, რომლითაც არამართლობიერად გადაადგილებული ან არამართლობიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან და კავშირებულ საკითხებზე ქართულ სასამართლოში წარდგენილი სარჩელის განხილვა უკავშირდება.

ქართულ სასამართლოში, ჰააგის კონვენციის ფარგლებში სარჩელების განხილვის დროს, მხარეები, უმეტეს შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, თუმცა ბოლო წლების სასამართლო დავების ტენდენციაც აჩვენებს, რომ დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეები არიან, რომლებიც ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ და თანაცხოვრების მანძილზე ოჯახური უთანხმოებების გამო, განსაკუთრებით COVID19-ის პირობებში, დატოვეს ჩვეული საცხოვრებელი ადგილი, არასრულწლოვნებთან ერთად მოახდინეს საქართველოში გადმოსვლა ან დაბრუნება, ბავშვის მეორე კანონიერმა წარმომადგენელმა - მშობელმა კი სარჩელით მომართა საქართველოს და მოითხოვა შვილის/შვილების ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება.

ასეთ დროს, მხარეები არაერთ პრაქტიკულ და არსებით პრობლემას აწყდებიან - არაკვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებას, ვინაიდან ქართველი ადვოკატები არ ფლობენ ინფორმაციას ჰააგის კონვენციის მიზნებსა და ამოცანებზე, კონვენციის ფარგლებში წარმოებული დავების დასაბუთება გააზრებულია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით საოჯახო დავების გადაწყვეტისთვის დადგენილი წესებით, არ არის ცნობილი ეროვნულ და საზღვარგარეთის ქვეყნის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი, საერთო სასამართლოებში საქმის წარმართვის, მტკიცებულებების შეგროვებისა და დაცვის სტრატეგიის სათანადოობა, არსებობს იურიდიული მომსახურების არაკონივრული ხარჯი, საქმის მასალების ქართულ ენაზე შედგენისა და ნოტარიული წესით დამოწმების ხარჯი, სასამართლოსთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან სახელმწიფო ენაზე კომუნიკაციის პრობლემა. ამასთან, პრობლემა მოდავე მხარეებსა და წარმომადგენელს შორის ენობრივი ბარიერის თაობაზე და სხვა.

პროექტის მდგრადობას წარმოადგენს საქართველოს ორგანული ინტერესი ჰააგის კონვენციის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული საქმეების პროცესში, სახელმწიფოს მხრიდან არამხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის შეთავაზებული იქნეს დაცვის განსაკუთრებული გარემო. ერთის მხრივ, ეროვნულ დონეზე მოხდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, მეორეს მხრივ იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა - ადვოკატების შესაბამისი გადამზადება კონვენციით გათვალისწინებულ მომავალ დავებში მონაწილეობის მისაღებად და მესამე მხრივ - უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის მდგრადობის შექმნა.





ჰააგის ბავშვთა კონვენციის ფარგლებში, ქართველი ადვოკატები და იურისტები გადამზადდნენ. ტრენინგის თემას წარმოადგენდა: „როგორ წარვმართოთ საქართველოს სასამართლოში კონვენციის ფარგლებში არსებული დავები: ტექნიკა და პრაქტიკა«. შეხვედრაზე გაზიარებული იქნა გამოცდილება, რომელიც არსებობს კონვენციის დავების წარმართვასთან საქართველოში, ასევე გაცნობილი იქნა საკანონმდებლო ჩარჩო და კონვენციის მოქმედების ფარგლები, საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ევროსასამართლოს პრაქტიკა.

ტრენინგის ბოლოს გაიცა სერთიფიკატი და ტრენინგში მონაწილე პირების შესახებ სია გადაიგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, როგორც კონვენციით განსაზღვრულ ცენტრალურ ორგანოსთან საქართველოში, რათა შეიქმნას ბაზა საქართველოში კონვენციიდან წარმოშობილი დავებში გადამზადებული ადვოკატების/იურისტების არსებობის შესახებ.

ორგანიზაციამ რეგისტრაციის პროცესი გახადა სრულიად გამჭვირვალე და 2 კვირის განმავლობაში, ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო შესაბამისი ანკეტა შეევსო.


პირები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში:

1. თათია მაისურაძე, ადვოკატი
2. მარიამ ბარსონიძე, ადვოკატი
3. თეიმურაზ ქავშბაია, ადვოკატი
4. სალომე ქავშბაია, ადვოკატი
5. სესილი ქადარია, ადვოკატი
6. თამარ მაისურაძე, ადვოკატი
7. ნანა ნანსყანი, ადვოკატი
8. ნიკა სადრაძე, ადვოკატი
9. ანნა ლილუაშვილი, ადვოკატი
10. გულო ბიბილაშვილი, ადვოკატი
11. ხატია ხუბაშვილი, ადვოკატი
12. არჩილ კაიკაციშვილი, ადვოკატი
13. შოთა იასაშვილი, იურისტი
14. ნატა სუხაშვილი, იურისტი
15. გიორგი აბულაძე, იურისტი
16. ბერდია ჯაჯანიძე, იურისტი
17. კალენიკე ურიდია, იურისტი
18. ლიზი ზუხბაია, იურისტი
19. სოფიო ჭელიძე, იურისტი





- | | | | |
|---------------------------|----------------------------|---|----------------------------|
| 1. ალბანეთი | (2007 წლის 1 აგვისტოდან) | 58. მონაკო | (1993 წლის 1 თებერვლიდან) |
| 2. ანდორა | (2011 წლის 1 ივლისიდან) | 59. მონტენეგრო | (2006 წლის 3 ივნისიდან) |
| 3. არგენტინა | (1991 წლის 1 ივნისიდან) | 60. მაროკო | (2010 წლის 1 ივნისიდან) |
| 4. სომხეთი | (2007 წლის 1 ივნისიდან) | 61. ნიდერლანდები | (1990 წლის 1 სექტემბრიდან) |
| 5. ავსტრალია | (1987 წლის 1 იანვრიდან) | 62. ახალიზელანდია | (1991 წლის 1 აგვისტოდან) |
| 6. ავსტრია | (1988 წლის 1 ოქტომბრიდან) | 63. ნიკარაგუა | (2001 წლის 1 მარტიდან) |
| 7. ბაჰამის კუნძულები | (1994 წლის 1 იანვრიდან) | 64. ჩრდილოეთ მაკედონია | (1991 წლის 1 დეკემბრიდან) |
| 8. ბარბადოსი | (2019 წლის 1 ოქტომბრიდან) | 65. ნორვეგია | (1989 წლის 1 ივნისიდან) |
| 9. ბელორუსია | (1998 წლის 1 აპრილიდან) | 66. პაკისტანი | (2017 წლის 1 მარტიდან) |
| 10. ბელგია | (1999 წლის 1 მაისიდან) | 67. პანამა | (1994 წლის 1 მაისიდან) |
| 11. ბელიზი | (1989 წლის 1 სექტემბრიდან) | 68. პარაგვაი | (1998 წლის 1 აგვისტოდან) |
| 12. ბოლივია | (2016 წლის 1 ოქტომბრიდან) | 69. პერუს | (2001 წლის 1 აგვისტოდან) |
| 13. ბოსნია და ჰერცეგოვინა | (1992 წლის 6 მარტიდან) | 70. ფილიპინები | (2016 წლის 1 ივნისიდან) |
| 14. ბრაზილია | (2000 წლის 1 იანვრიდან) | 71. პოლონეთი | (1992 წლის 1 ნოემბრიდან) |
| 15. ბულგარეთი | (2003 წლის 1 აგვისტოდან) | 72. პორტუგალია | (1983 წლის 1 დეკემბრიდან) |
| 16. ბურკინაფასო | (1992 წლის 1 აგვისტოდან) | 73. კორეის რესპუბლიკა | (2013 წლის 1 მარტიდან) |
| 17. კანადა | (1983 წლის 1 დეკემბრიდან) | 74. მოლდოვის რესპუბლიკა | (1998 წლის 1 ივლისიდან) |
| 18. ჩილე | (1994 წლის 1 მაისიდან) | 75. რუმინეთი | (1993 წლის 1 თებერვლიდან) |
| 19. ჩინეთი | | 76. რუსეთის ფედერაცია | (2011 წლის 1 ოქტომბრიდან) |
| 20. კოლუმბია | (1996 წლის 1 მარტიდან) | 77. სენტკიტსიდანევისი | (1994 წლის 1 აგვისტოდან) |
| 21. კოსტა - რიკა | (1999 წლის 1 თებერვლიდან) | 78. სანმარინო | (2007 წლის 1 მარტიდან) |
| 22. ხორვატია | (1991 წლის 1 დეკემბრიდან) | 79. სერბეთი | (1992 წლის 27 აპრილიდან) |
| 23. კუბა | (2018 წლის 1 დეკემბრიდან) | 80. სეიშელის კუნძულები | (2008 წლის 1 აგვისტოდან) |
| 24. კვიპროსი | (1995 წლის 1 თებერვლიდან) | 81. სინგაპური | (2011 წლის 1 მარტიდან) |
| 25. ჩეხეთის რესპუბლიკა | (1998 წლის 1 მარტიდან) | 82. სლოვაკეთი | (2001 წლის 1 თებერვლიდან) |
| 26. დანია | (1991 წლის 1 ივლისიდან) | 83. სლოვენია | (1994 წლის 1 ივნისიდან) |
| 27. დომინიკის რესპუბლიკა | (2004 წლის 1 ნოემბრიდან) | 84. სამხრეთ აფრიკა | (1997 წლის 1 ოქტომბრიდან) |
| 28. ეკვადორი | (1992 წლის 1 აპრილიდან) | 85. ესპანეთი | (1987 წლის 1 სექტემბრიდან) |
| 29. ელ სალვადორი | (2001 წლის 1 მაისიდან) | 86. შრილანკა | (2001 წლის 1 დეკემბრიდან) |
| 30. ესტონეთი | (2001 წლის 1 ივლისიდან) | 87. შვედეთი | (1989 წლის 1 ივნისიდან) |
| 31. ფიჯი | (1999 წლის 1 ივნისიდან) | 88. შვეიცარია | (1984 წლის 1 იანვრიდან) |
| 32. ფინეთი | (1994 წლის 1 აგვისტოდან) | 89. ტაილანდი | (2002 წლის 1 დეკემბრიდან) |
| 33. საფრანგეთი | (1983 წლის 1 დეკემბრიდან) | 90. ტრინიდადიდატობაგო | (2000 წლის 1 სექტემბრიდან) |
| 34. გაბონი | (2011 წლის 1 მარტიდან) | 91. ტუნისი | (2017 წლის 1 ოქტომბრიდან) |
| 35. საქართველო | (1997 წლის 1 ოქტომბრიდან) | 92. თურქეთი | (2000 წლის 1 აგვისტოდან) |
| 36. გერმანია | (1990 წლის 1 დეკემბრიდან) | 93. თურქმენეთი | (1998 წლის 1 მარტიდან) |
| 37. საბერძნეთი | (1993 წლის 1 ივნისიდან) | 94. უკრაინა | (2006 წლის 1 სექტემბრიდან) |
| 38. გვატემალა | (2002 წლის 1 მაისიდან) | 95. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო | (1986 წლის 1 აგვისტოდან) |
| 39. გვინეა | (2012 წლის 1 თებერვლიდან) | 96. ამერიკის შეერთებული შტატები | (1988 წლის 1 ივლისიდან) |
| 40. გაიანა | (2019 წლის 1 მაისიდან) | 97. ურუგვაი | (2000 წლის 1 თებერვლიდან) |
| 41. ჰონდურასი | (1994 წლის 1 მარტიდან) | 98. უზბეკეთი | (1999 წლის 1 აგვისტოდან) |
| 42. უნგრეთი | (1986 წლის 1 ივლისიდან) | 99. ვენესუელა | (1997 წლის 1 იანვრიდან) |
| 43. ისლანდია | (1996 წლის 1 ნოემბრიდან) | 100. ზამბია | (2014 წლის 1 ნოემბრიდან) |
| 44. ერაყი | (2014 წლის 1 ივნისიდან) | 101. ზიმბაბვე | (1995 წლის 1 ივლისიდან) |
| 45. ირლანდია | (1991 წლის 1 ოქტომბრიდან) | | |
| 46. ისრაელი | (1991 წლის 1 დეკემბრიდან) | | |
| 47. იტალია | (1995 წლის 1 მაისიდან) | | |
| 48. იამაიკა | (2017 წლის 1 მაისიდან) | | |
| 49. იაპონია | (2014 წლის 1 აპრილიდან) | | |
| 50. ყაზახეთი | (2013 წლის 1 სექტემბრიდან) | | |
| 51. ლატვია | (2002 წლის 1 თებერვლიდან) | | |
| 52. ლესოტო | (2012 წლის 1 სექტემბრიდან) | | |
| 53. ლიტვა | (2002 წლის 1 სექტემბრიდან) | | |
| 54. ლუქსემბურგი | (1987 წლის 1 იანვრიდან) | | |
| 55. მალტა | (2000 წლის 1 იანვრიდან) | | |
| 56. მავრიკი | (1993 წლის 1 ივნისიდან) | | |
| 57. მექსიკა | (1991 წლის 1 სექტემბრიდან) | | |



ჰააგის კონვენცია

ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ
(დადებულია 1980 წლის 25 ოქტომბერს) (ძალაში შევიდა 1983 წლის 1 დეკემბერს)

წინამდებარე კონვენციის ხელმომწერმა სახელმწიფოებმა, მტკიცედ დარწმუნებულებმა, რომ ბავშვების ინტერესებს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მათზე მზრუნველობასთან დაკავშირებულ საკითხებში, მოწადინებულებმა, უზრუნველყონ ბავშვების საერთაშორისო დაცვა მათი არამართლობიერი გადაადგილების ან დაკავების მაგნე შედეგებისაგან და დაადგინონ პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს სწრაფ დაბრუნებას მათი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში, და აგრეთვე იძლევიან ურთიერთობის უფლებათა დაცვის გარანტიას, გადანყვიტეს, დადონ ამ მიზნით კონვენცია და შეთანხმდნენ შემდეგ დებულებებზე:

თავი I – კონვენციის მოქმედების სფერო

მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის მიზნებია:

ა) რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არამართლობიერად გადაყვანილი ან დაკავებული ბავშვების სწრაფი დაბრუნების უზრუნველყოფა; და

ბ) უზრუნველყოფა იმისა, რომ მეურვეობისა და ურთიერთობის უფლებანი, გათვალისწინებული ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, ეფექტიანად სრულდებოდეს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში.

მუხლი 2

ხელშემკვრელი სახელმწიფოები ყველა სათანადო ზომას იღებენ თავიანთი ტერიტორიების ფარგლებში ამ კონვენციის მიზნების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ისინი იყენებენ ხელთარსებულთაგან უსწრაფეს პროცედურებს.

მუხლი 3

ბავშვის გადაადგილებიდან დაკავება არამართლობიერად უნდა ჩაითვალოს, როდესაც:

ა) ეს წარმოადგენს დარღვევას მეურვეობის უფლებებისა, მიკუთვნებულისა პირისთვის, დანესებულებისთვის ან სხვა

ორგანოსთვის, ერთობლივად თუ ცალკე, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობდა უშუალოდ გადაადგილებამდე ან დაკავებამდე; და

ბ) გადაადგილების ან დაკავების დროისათვის ეს უფლებები რეალურად გამოიყენებოდა, ერთობლივად თუ ცალკე, ანდა ამგვარად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა გადაადგილება ან დაკავება.

ამ მუხლის „ა“ პუნქტში მოხსენიებული მეურვეობის უფლებანი შეიძლება, კერძოდ, წარმოიქმნას კანონის მოქმედების შედეგად, სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების საფუძველზე, ანდა იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით კანონიერი ძალის მქონე შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 4

კონვენცია გამოიყენება ნებისმიერი იმ ბავშვის მიმართ, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობდა ხელშემკვრელ სახელმწიფოში მეურვეობის ან ურთიერთობის უფლებათა დარღვევამდე. კონვენცია აღარ გამოიყენება, როდესაც ბავშვი 16 წლის ასაკს მიაღწევს.

მუხლი 5

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

ა) „მეურვეობის უფლებები“ მოიცავს უფლებებს, რომლებიც შეეხება ბავშვის პიროვნებაზე მზრუნველობას და, კერძოდ, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის უფლებას.

ბ) „ურთიერთობის უფლება“ მოიცავს უფლებას ბავშვის განსაზღვრული დროით ნაყვანისა ისეთ ადგილად, რომელიც არ არის ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი.

თავი II – ცენტრალური ორგანოები

მუხლი 6

ხელშემკვრელი სახელმწიფო ნიშნავს ცენტრალურ ორგანოს იმ მოვალეობათა შესასრულებლად, რომელთაც კონვენცია ამგვარ ორგანოებს აკისრებს.



ფედერალურ სახელმწიფოებს, რამდენიმე სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოებსა და ავტონომიური ტერიტორიული ერთეულების მქონე სახელმწიფოებს უფლება აქვთ დანიშნონ რამდენიმე ცენტრალური ორგანო და დაადგინონ მათი უფლებამოსილებების ტერიტორიული ფარგლები. როდესაც სახელმწიფოს რამდენიმე ცენტრალური ორგანო ჰყავს დანიშნული, მან უნდა დანიშნოს ცენტრალური ორგანო, რომელსაც შეიძლება გაეგზავნოს განაცხადები ამ სახელმწიფოს ფარგლებში არსებული სათანადო ცენტრალური ორგანოსათვის გადასაგზავნად.

მუხლი 7

ცენტრალური ორგანოები თანამშრომლობენ ურთიერთს შორის და ხელს უწყობენ თავიანთ სახელმწიფოებში არსებულ კომპეტენტურ ორგანოთა თანამშრომლობას ბავშვების სწრაფი დაბრუნების უზრუნველსაყოფად და ამ კონვენციის სხვა მიზნების მისაღწევად.

კერძოდ, ისინი, უშუალოდ ან ნებისმიერი შუამავლის მეშვეობით, ყველა სათანადო ზომას ღებულობენ:

ა) რათა აღმოაჩინონ არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის ადგილსამყოფელი;

ბ) რათა არ დაუშვან შემდგომი ზიანის მიყენება ბავშვისთვის ან ვნების მიყენება დაინტერესებულ პირთათვის დროებითი ზომების მიღებით ან მიღებინებით;

გ) რათა უზრუნველყონ ბავშვის ნებაყოფლობით დაბრუნება, ან მიაღწიონ სადავო საკითხების მშვიდობიან მოგვარებას;

დ) რათა გაცვალონ, როდესაც ეს მიზანშეწონილია, ბავშვის სოციალურ ფონთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ე) რათა მიაწოდონ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია მათი სახელმწიფოს კანონმდებლობის თაობაზე კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით;

ვ) რათა წამოიწიონ ან გააადვილონ სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცედურების აღძვრა ბავშვის დაბრუნების მიღწევის მიზნით და, სათანადო შემთხვევაში, გაატარონ ღონისძიებანი ურთიერთობის უფლებათა ეფექტიანი გამოყენების ორგანიზებისთვის ან უზრუნველყოფისთვის;

ზ) რათა, როდესაც გარემოებები ამას მოითხოვს, უზრუნველყონ ან გააადვილონ იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის განწევა, იურისტკონსულტისა და იურიდიულ მრჩეველთა მონაწილეობის ჩათვლით;

თ) რათა გაატარონ იმგვარი ადმინისტრაციული ღონისძიებანი, როგორც აუცილებელი და მიზანშეწონილი შეიძლება იყოს ბავშვის უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველსაყოფად;

ი) რათა ინფორმირებული ჰყავდეთ ურთიერთი ამ კონვენციის მოქმედების თაობაზე და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღმოფხვრან მისი გამოყენების შემაფერხებელი ნებისმიერი დაბრკოლებანი.

თავი III – ბავშვების დაბრუნება

მუხლი 8

ნებისმიერ პირს, დაწესებულებას ან სხვა ორგანოს, რომელიც ამტკიცებს, რომ ბავშვი გადაადგილებული ან დაკავებული იქნა მეურვეობის უფლებათა დარღვევით,

შეუძლია მიმართოს ან ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ცენტრალურ ორგანოს, ან და ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს დახმარებისთვის ბავშვის დაბრუნების უზრუნველყოფაში.

განაცხადში უნდა შევიდეს:

ა) ინფორმაცია, რომელიც შეეხება ვინაობას განმცხადებლისა, ბავშვისა და პირისა, ვინც, სავარაუდოდ, ბავშვის გადაადგილება ან დაკავება მოახდინა;

ბ) თუ ამგვარი ინფორმაცია ხელმისაწვდომია, ბავშვის დაბადების თარიღი;

გ) არგუმენტები, რომლებსაც ემყარება განმცხადებლის მოთხოვნა ბავშვის დაბრუნების თაობაზე;

დ) მთელი ხელთარსებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება ბავშვის ადგილსამყოფელს და იმ პირის ვინაობას, ვისთანაც ბავშვი, სავარაუდოდ, იმყოფება.

განცხადებას შეიძლება თან დაერთოს ან დაემატოს:

ე) ნებისმიერი შესაბამისი გადაწყვეტილების ან შეთანხმების დამოწმებული ასლი;

ვ) ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოდან ან სხვა კომპეტენტური ორგანოდან, ანდა უფლებამოსილი პირისგან მომდინარე მონაწილეობა ან ფიცით დამოწმებული წერილობითი ჩვენება ამ სახელმწიფოს შესაბამისი კანონმდებლობის შესახებ;

ზ) საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

მუხლი 9

თუ ცენტრალურ ორგანოს, რომელიც მიიღებს მე-8 მუხლში მოხსენიებულ განაცხადს, საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ბავშვი მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იმყოფება, იგი უშუალოდ და დაუყოვნებლივ გადაუგზავნის განაცხადს ამ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს და ინფორმაციას მიაწვდის, შემთხვევისდა მიხედვით, მოთხოვნის გამგზავნ ცენტრალურ ორგანოს, ან განმცხადებელს.

მუხლი 10

იმ სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ, სადაც ბავშვი იმყოფება, უნდა მიიღოს ან მიაღებინოს ყველა სათანადო ზომა ბავშვის ნებაყოფლობით დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 11

ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოები ოპერატიულად მოქმედებენ ბავშვების დასაბრუნებელი პროცედურების განხორციელებისას.

თუ შესაბამისი სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო არ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის გარჩევის დაწყების თარიღიდან ექვსი კვირის განმავლობაში, განმცხადებელს ან მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივით ან თუკი ამას მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო სთხოვს, მოითხოვოს ახსნა-განმარტება დაყოვნების მიზეზების თაობაზე. თუ პასუხი მიღებულ იქნა მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიერ, ეს ორგანო გადაუგზავნის პასუხს, შემთხვევისდა მიხედვით, მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს, ან განმცხადებელს.

მუხლი 12

როდესაც ბავშვი არამართლზომიერად არის გადაადგილებული ან დაკავებული მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში და, იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს, სადაც ბავშვი იმყოფება, სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარჩევის დაწყების თარიღისთვის, გასულია ერთ წელზე ნაკლები ვადა არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების თარიღიდან, აღნიშნული ორგანო დაუყოვნებლივ იძლევა განკარგულებას ბავშვის დაბრუნების თაობაზე.

სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო, მაშინაც კი, თუ საქმის გარჩევა დაიწყო წინა პუნქტში მოხსენიებული ერთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, აგრეთვე იძლევა განკარგულებას ბავშვის დაბრუნების თაობაზე, თუკი თვალნათლივ არ იქნა ნაჩვენები, რომ ბავშვი ამ დროისათვის ინტეგრირებულია თავის ახალ გარემოში.

როდესაც მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოს საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ბავშვი წაყვანილია მეორე სახელმწიფოში, მას შეუძლია შეაჩეროს საქმის გარჩევა, ანდა უარყოს განაცხადი.

მუხლი 13

მიუხედავად წინამავალი მუხლის დებულებებისა, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის, გასცეს განკარგულება ბავშვის დაბრუნების თაობაზე თუკი პირი, დაწესებულება ან სხვა ორგანო, რომელიც მის დაბრუნებას ეწინააღმდეგება, დადგენს, რომ:

ა) პირი, დაწესებულება ან სხვა ორგანო, რომლის მხრეზე ველობის ქვეშაც იმყოფება ბავშვის პიროვნება, რეალურად არ სარგებლობდა მუშრევობის უფლებებით გადაადგილების ან დაკავების დროისათვის, ანდა დაეთანხმა ან მოგვიანებით შეეგუა გადაადგილებას ან დაკავებას; ან

ბ) არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ მისი დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, ან სხვაგვარად ჩააყენებს ბავშვს აუტანელ მდგომარეობაში.

სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოს აგრეთვე შეუძლია უარი განაცხადოს ბავშვის დაბრუნების შესახებ განკარგულების გაცემაზე, თუკი იგი აღმოაჩენს, რომ ბავშვის მისი დაბრუნების წინააღმდეგია და მან უკვე მიაღწია ისეთ წლოვანებას და მოწიფულობის ასაკს, როდესაც მიზანშეწონილია მისი აზრის გათვალისწინება.

ამ მუხლში მოხსენიებული გარემოებების განხილვისას, სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოები მხედველობაში ღებულობენ ბავშვის სოციალურ ფონთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მიწოდებულს ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.

მუხლი 14

იმის დადგენისას, ჰქონდა თუ არა ადგილი არამართლზომიერ გადაადგილებას ან დაკავებას მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ უშუალოდ იხელმძღვანელონ ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს კანონით და ამ სახელმწიფოში ოფიციალურად აღიარებული თუ არ აღიარებული სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილებებით ისე, რომ არ მიმართონ სპეციალურ პროცედურებს, გათვალისწინებულს ამგვარი კანონის დასადასტურებლად ან საზღვარგარეთ მიღებული გადაწყვეტილებების საღიარებლად, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებადი იქნებოდა.

მუხლი 15

ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ, ბავშვის დაბრუნების თაობაზე განკარგულების გაცემაზე, მოითხოვონ, რომ



განმცხადებელმა ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელ ადგილის სახელმწიფოს ორგანოთაგან აიღოს გადაწყვეტილება ან სხვაგვარი დადგენილება იმის თაობაზე, რომ ბავშვის გადაადგილება ან დაკავება არამართლზომიერი იყო კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, თუკი ამგვარი გადაწყვეტილების ან დადგენილების აღება შესაძლებელია ამ სახელმწიფოში. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ცენტრალური ორგანოები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელს უწყობენ განმცხადებლებს ამგვარი გადაწყვეტილების ან დადგენილების აღებაში.

მუხლი 16

მას შემდეგ, რაც მიიღებენ შეტყობინებას, რომელიც შეეხება ბავშვის არამართლზომიერ გადაადგილებს ან დაკავებას მე-3 მუხლის მნიშვნელობით, იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოები, რომელში გადაყვანილია ან დაკავებულია ბავშვი, არ ღებულობენ გადაწყვეტილებას მეურვეობის უფლებათა არსის თაობაზე მანამ, სანამ არ დადგინდება, რომ ბავშვი არ უნდა იქნეს დაბრუნებული ამ კონვენციის მიხედვით, ან თუ ამ კონვენციის მიხედვით გათვალისწინებული განაცხადი შეტანილი არ იქნება შეტყობინების მიღებიდან გონივრული ვადის ფარგლებში.

მუხლი 17

მხოლოდ ის ფაქტი, რომ მეურვეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება აღიარებულია ან აღიარებას ექვემდებარება მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოში, ვერ იქნება საფუძველი უარის თქმისთვის ბავშვის დაბრუნებაზე ამ კონვენციის მიხედვით, მაგრამ მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოებს შეუძლიათ მხედველობაში მიიღონ აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზები მოცემული კონვენციის გამოყენებისას.

მუხლი 18

ამ თავის დებულებები არ ზღუდავს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას, ნებისმიერ დროს გასცეს განკარგულება ბავშვის დაბრუნების თაობაზე.

მუხლი 19

ამ კონვენციის მიხედვით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ბავშვის დაბრუნების შესახებ არ უნდა ჩაითვალოს დადგენილებად მეურვეობასთან დაკავშირებული რაიმე საკითხის არსის თაობაზე.

მუხლი 20

მე-12 მუხლის დებულებათა მიხედვით ბავშვის დაბრუნებაზე უარი შეიძლება იქნეს ნათქვამი, თუკი ეს აკრძალულია თანახმად მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ძირითადი პრინციპებისა, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას შეეხება.

თავი IV - შეფარების უფლება

მუხლი 21

განაცხადი ღონისძიებათა გატარების თაობაზე ურთიერთობის უფლებათა ეფექტიანი გამოყენების ორგანიზებისთვის ან უზრუნველყოფისთვის შეიძლება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ცენტრალურ ორგანოებს წარედგინოს ისეთნაირადვე, როგორც განაცხადი ბავშვის დაბრუნების მოთხოვნით.

ცენტრალური ორგანოები დავალდებულებულნი არიან მე-7 მუხლში მოყვანილი ვალდებულებებით თანამშრომლობის თაობაზე, ხელი შეუწყონ ურთიერთობის უფლებათა მშვიდობიან გამოყენებასა და ნებისმიერი იმ პირობების შესრულებას, რომლებსაც ამ უფლებებით სარგებლობა შეიძლება ექვემდებარებოდეს. ცენტრალური ორგანოები ღებულობენ ზომებს, რათა აღმოფხვრან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამგვარი უფლებების გამოყენების შემაფერხებელი ყველა დაბრკოლება.

ცენტრალურ ორგანოებს, უშუალოდ ან შუამავლების მეშვეობით, შეუძლიათ წამოიწყება ან ხელის შეწყობა პროცედურების აღძვრისა და ამ უფლებათა ორგანიზების ან დაცვის მიზნითა და იმ პირობათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რომლებსაც ამ უფლებებით სარგებლობა შეიძლება ექვემდებარებოდეს.

თავი V - ზოგადი დებულებები

მუხლი 22

ამ კონვენციის მოქმედების ფარგლებში შემავალი სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცედურების საფასურებისა და ხარჯების გადახდის უზრუნველსაყოფად მოთხოვნილი არ უნდა იქნეს არანაირი გარანტია, ფულადი სავალო ვალდებულება ან გირაო, როგორც არ უნდა იქნეს ისინი აღწერილი.

მუხლი 23

ამ კონვენციის კონტექსტში არ შეიძლება მოთხოვნილი იქნეს ლეგალიზაცია ან მსგავსი ფორმალობა.

მუხლი 24

ნებისმიერი განაცხადი, შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი, გაგზავნილი მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოსათვის, უნდა იყოს ორიგინალის ენაზე და მას თან უნდა ახლდეს თარგმანი მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე ან, როდესაც ეს შეუძლებელია, თარგმანი ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე.

თუმცა, ხელშემკვრელ სახელმწიფოს, დათქმის გაკეთებით 42-ე მუხლის თანახმად, შეუძლია შეენიშნა აღმდგომს ფრანგულის ან ინგლისურის, მაგრამ არა ორივე მათგანის, გამოყენებას მისი ცენტრალური ორგანოსთვის გაგზავნილ ნებისმიერ განაცხადში, შეტყობინებაში ან სხვა დოკუმენტში.

მუხლი 25

ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მოქალაქეებსა და პირებს, რომლებიც ჩვეულებრივ ამ სახელმწიფოთა ფარგლებში ცხოვრობენ, ამ კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებში აქვთ ნებისმიერ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის მიღების უფლება ისეთივე პირობებით, თითქოს ისინი თავად იყვნენ ამ სახელმწიფოს მოქალაქენი ან ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ მასში.

მუხლი 26

ამ კონვენციის გამოყენებისას, თითოეულ ცენტრალური ორგანო თავად ეწევა საკუთარ ხარჯებს.

ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ცენტრალური ორგანოები ან სხვა სახელმწიფო სამსახურები არ მოითხოვენ რაიმე საფასურების გადახდას ამ კონვენციის მიხედვით

შეტანილ განაცხადებთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ უფლება არა აქვთ, მოსთხოვონ განმცხადებელს თანხის გადახდა პროცესუალურ ქმედებათა საფასურებისა და ხარჯების ან, სადაც ეს გამოყენებადია, იურისკონსულტის ან იურიდიულ მრჩეველთა მონაწილეობის შედეგად წარმოქმნილი საფასურებისა და ხარჯების დასაფარავად. თუმცა, მათ შეუძლიათ მოითხოვონ ბავშვის დაბრუნების განხორციელებისას გაწეული ან გასაწევი ხარჯების დაფარვა.

თუმცა, ხელშემკვრელ სახელმწიფოს, დათქმის გაკეთებით 42-ე მუხლის თანახმად, შეუძლია განაცხადოს, რომ იგი ვალდებული არ არის საკუთარ თავზე აიღოს წინა პუნქტში მოხსენიებული ხარჯები, წარმოქმნილი იურისკონსულტის ან იურიდიულ მრჩეველთა მონაწილეობის შედეგად, ან სასამართლო პროცედურების შედეგად, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ეს ხარჯები შეიძლება დაფაროს იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების მისმა სისტემამ.

ბავშვის დაბრუნების თაობაზე განკარგულების, ან ამ კონვენციის მიხედვით გათვალისწინებული ურთიერთობების უფლებებთან დაკავშირებული განკარგულების გაცემისას, სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ, როდესაც ეს მიზანშეწონილია, უბრძანონ პირს, ვინც ბავშვი გადაადგილა ან დააკავა, ანდა ვინც ხელი შეუშალა ურთიერთობის უფლებათა განხორციელებას, დაფაროს აუცილებელი ხარჯები, გაღებული განმცხადებლის მიერ ან მისი სახელით, სამგზავრო ხარჯების ჩათვლით, ბავშვის ადგილსამყოფელის დასადგენად გაღებული ნებისმიერი ხარჯები ან გადახდილი თანხები, განმცხადებლის იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯები და ბავშვის დაბრუნების ხარჯები.

მუხლი 27

როდესაც ცხადია, რომ ამ კონვენციის მოთხოვნები არ სრულდება, ან განაცხადი სხვა მხრივ კარგად არ არის დასაბუთებული, ცენტრალური ორგანო ვალდებული არ არის მიიღოს განაცხადი. ასეთ შემთხვევაში, ცენტრალური ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს, შემთხვევისა და მიხედვით, განმცხადებელს ან იმ ცენტრალურ ორგანოს, რომლის მეშვეობითაც წარდგენილი იქნა განაცხადი, თავისი ქმედების მიზეზების შესახებ.

მუხლი 28

ცენტრალურ ორგანოს შეუძლია მოითხოვოს, რომ განაცხადს თან ახლდეს წერილობითი რწმუნებულება, რომელიც აღჭურავს მას უფლებამოსილებით, იმოქმედოს განმცხადებლის სახელით, ან დანიშნოს წარმომადგენელი, რომელიც ამგვარად იმოქმედებს.

მუხლი 29

ეს კონვენცია ხელს არ უშლის ნებისმიერ პირს, დაწესებულებას ან ორგანოს, რომელიც აცხადებს, რომ ადგილი ჰქონდა მეურვეობის ან ურთიერთობის უფლებათა დარღვევას მე-3 და 21-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, მიმართოს უშუალოდ ხელშემკვრელ სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს, ამ კონვენციის დებულებათა თანახმად იქნება ეს, თუ არა.

მუხლი 30

ნებისმიერი განაცხადი, წარდგენილი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოებისთვის ან უშუალოდ

სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოებისთვის ამ კონვენციის პირობების თანახმად, მისთვის თანდართულ ან ცენტრალური ორგანოს მიერ მიწოდებული დოკუმენტებთან და ნებისმიერ სხვა ინფორმაციასთან ერთად, ექვემდებარება მიღებას ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში.

მუხლი 31

იმ სახელმწიფოსთან დაკავშირებით, რომელსაც ბავშვების მეურვეობის საკითხებში აქვს ორი ან მეტი სამართლებრივი სისტემა, გამოყენებადი სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში:

ა) ნებისმიერი მოხსენება ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილისა ან სახელმწიფოში ინტერპრეტირებული უნდა იქნეს, როგორც მოხსენიება ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილისა ან სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულში;

ბ) ნებისმიერი მოხსენება ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს კანონმდებლობისა ინტერპრეტირებული უნდა იქნეს, როგორც მოხსენიება აღნიშნული სახელმწიფოს იმ ტერიტორიული ერთეულის კანონმდებლობისა, სადაც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობს.

მუხლი 32

იმ სახელმწიფოსთან დაკავშირებით, რომელსაც ბავშვები მეურვეობის საკითხებში აქვს ორი ან მეტი სამართლებრივი სისტემა, გამოყენებადი პირთა სხვადასხვა კატეგორიების მიმართ, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის ნებისმიერი მოხსენება ინტერპრეტირებული უნდა იქნეს, როგორც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი სისტემის მოხსენიება.

მუხლი 33

სახელმწიფო, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ თავიანთი საკუთარი სამართლებრივი ნორმები ბავშვების მეურვეობასთან მიმართებაში, ვალდებული არ არის გამოიყენოს ეს კონვენცია იმ შემთხვევებში, როდესაც ერთიანი სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფო ვალდებული არ იქნებოდა ეს გაეკეთებინა.

მუხლი 34

ამ კონვენციას, მისი მოქმედების ფარგლებში შემავალ საკითხებში, პრიორიტეტი ენიჭება 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციაზე არასრულწლოვანთა დაცვასთან მიმართებაში ორგანოების უფლებამოსილებათა და გამოყენებად სამართლებრივ ნორმათა შესახებ, როდესაც საქმე ეხება ურთიერთობას ორივე ამ კონვენციის მხარეთა შორის. სხვა მხრივ, წინამდებარე კონვენცია არ ზღუდავს გამოყენებას ამა თუ იმ საერთაშორისო დოკუმენტისა, რომელიც ძალაშია წარმომავლობის სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელსაც მიმართეს, ან გამოიყენება სხვა სამართლებრივი ნორმისა იმ სახელმწიფოსი, რომელსაც მიმართეს არამართლობიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაბრუნების მიღწევის მიზნით, ამ ურთიერთობის უფლებათა ორგანიზების მიზნით.

მუხლი 35

ეს კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის გამოყენება მხოლოდ იმ არამართლობიერ გადაადგილებათა და დაკავებათა მიმართ, რომელთაც ადგილი ექნებათ მისი ძალაში შესვლის შემდეგ ამ სახელმწიფოში.

როდესაც გაკეთებულია განცხადება 39-ე ან მე-40 მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოხსენიება წინამავალ პარაგრაფში გაგებული უნდა იქნეს, როგორც მოხსენიება იმ ტერიტორიული ერთეულის ან ერთეულებისა, რომლის მიმართაც გამოიყენება ეს კონვენცია.

მუხლი 36

არაფერი ამ კონვენციაში ხელს არ უშლის ორ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, იმ მიზნით, რათა შეამცირონ იმ შეზღუდვათა რაოდენობა, რომლებსაც ბავშვის დაბრუნება შეიძლება ექვემდებარებოდეს, შეთანხმდნენ ურთიერთს შორის, ნაწილობრივ გააუქმონ ამ კონვენციის ნებისმიერი დებულებანი, რომლებიც ამგვარ შეზღუდვებს შეიძლება გულისხმობდეს.

თავი VI – დასკვნით დებულებები

მუხლი 37

კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც იყვნენ კერძო საერთაშორისო სამართლის საკითხებში ჰააგის კონფერენციის წევრები მისი მეთოთხმეტე სესიის დროს.

იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას, ხოლო დოკუმენტები რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ შესაძლებელია ჰბარდება ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

მუხლი 38

ნებისმიერი სხვა სახელმწიფო შეუძლია შეუერთდეს ამ კონვენციას.

დოკუმენტი შეერთების შესახებ შესაძლებელია ჰბარდება ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

კონვენცია მასთან შეერთებული სახელმწიფოსთან ძალაში შედის შეერთების შესახებ მისი დოკუმენტის შესაძლებელია ჩაბარებიდან მესამე კალენდარული თვის პირველ დღეს.

შეერთებას ძალა ექნება მხოლოდ შეერთებულ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობასთან მიმართებაში, რომლებსაც განცხადებული ექნებათ მათ მიერ შეერთების მიღების შესახებ. ამგვარი განცხადება გასაკეთებელი ექნება ნებისმიერ იმ წევრ სახელმწიფოსაც, რომელიც კონვენციას რატიფიკაციას გაუკეთებს, მიიღებს ან დამტკიცებს შეერთების შემდეგ. ამგვარი განცხადება შესაძლებელია ჰბარდება ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს; ეს სამინისტრო დიპლომატიური არხებით გადაუგზავნის მის დამონმებულ ასლს თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს.

კონვენცია მასთან შეერთებულ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელმაც განაცხადა მის მიერ შეერთების მიღების შესახებ, ძალაში შევა მიღების შესახებ განცხადების შესაძლებელია ჩაბარებიდან მესამე კალენდარული თვის პირველ დღეს.

მუხლი 39

ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს განაცხადოს, რომ კონვენცია ვრცელდება ყველა იმ ტერიტორიაზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი პასუხისმგებელია, ან ერთ ან რამდენიმე მათგანზე. ამგვარი განცხადება ძალაში შედის იმ დროს, როდესაც

კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოსათვის.

ამგვარი განცხადების, ისევე როგორც ნებისმიერი შემდგომი გავრცელების შესახებ ატყობინებენ ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

მუხლი 40

თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს ორი ან მეტი ტერიტორიული ერთეული, რომლებშიც გამოიყენება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები, დაკავშირებული ამ კონვენციის განხილულ საკითხებთან, მას შეუძლია ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს განაცხადოს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება ყველა მის ტერიტორიულ ერთეულზე ან მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მათგანზე, და შეუძლია მოახდინოს ამ განცხადების მოდიფიკაცია სხვა განცხადების წარდგენით ნებისმიერ დროს.

ამგვარ განცხადების შესახებ ატყობინებენ ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და მასში გარკვევით მიუთითებენ ტერიტორიულ ერთეულებს, რომელთა მიმართაც გამოიყენება კონვენცია.

მუხლი 41

როდესაც ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს მმართველობის სისტემა, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი, სასამართლო და საკანონმდებლო ძალაუფლება განაწილებულია ამ სახელმწიფოში არსებულ ცენტრალურ და სხვა ორგანოთა შორის, მის მიერ ამ კონვენციის ხელმოწერა ან რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება, ან მასთან შეერთება, ან და მის მიერ რაიმე განცხადების გაკეთება მე-40 მუხლის მიხედვით არ გულისხმობს რაიმე შედეგებს ამ სახელმწიფოს ფარგლებში ძალაუფლებათა განაწილებისათვის.

მუხლი 42

ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია, არა უგვიანეს რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს, ან 39-ე ან მე-40 მუხლის მიხედვით განცხადების გაკეთების დროს, გააკეთოს ერთი ან ორივე დათქმა, გათვალისწინებული 24-ე მუხლში და 26-ე მუხლის მესამე პუნქტში. არანაირი სხვ დათქმა ნებადართული არ არის.

ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს მის მიერ გაკეთებული დათქმა. გაუქმებს შესახებ ატყობინებენ ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

დათქმა მოქმედებას წყვეტს წინამავალ პარაგრაფში მოხსენიებული შეტყობინებიდან მესამე კალენდარული თვის პირველ დღეს.

მუხლი 43

კონვენცია ძალაში შედის 37-ე და 38-ე მუხლებში მოხსენიებული რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ მესამე დოკუმენტის შესაბამისად ჩაბარებიდან მესამე კალენდარული თვის პირველ დღეს.

ამის შემდეგ კონვენცია ძალაში შედის:

(1) ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც მოგვიანებით მოახდენს მის რატიფიკირებას, მიღებას, დამტკიცებას, ან შეუერთდება მას, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ მისი დოკუმენტის ჩაბარებიდან მესამე კალენდარული თვის პირველ დღეს;

(2) ნებისმიერი ტერიტორიისთვის ან ტერიტორიული ერთეულისთვის, რომელზეც კონვენცია გავრცელებულ იქნა 39-ე და მე-40 მუხლის თანახმად, აღნიშნულ მუხლში

მოხსენიებული შეტყობინებიდან მესამე კალენდარული თვის პირველ დღეს.

მუხლი 44

კონვენცია ძალაში რჩება ხუთი წლის განმავლობაში ძალაში მისი შესვლის თარიღიდან 43-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ სახელმწიფოსთვისაც კი, რომლებმაც მოგვიანებით მოახდინეს მისი რატიფიცირება, მიღება, დამტკიცება, ან შეუერთდნენ მას.

თუ ადგილი არ ჰქონია დენონსაციას, იგი ავტომატურად განახლდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ.

ნებისმიერი დენონსაციის შესახებ ატყობინებენ ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სულ მცირე ექვსი თვით ადრე ხუთწლიანი ვადის ამონურვამდე. იგი შეიძლება შემოიფარგლოს ზოგიერთი იმ ტერიტორიებიდან თუ ტერიტორიული ერთეულებიდან, რომელთა მიმართაც გამოიყენება კონვენცია.

დენონსაციას ძალა აქვს მხოლოდ იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელსაც შეტყობინებული აქვს მის შესახებ. კონვენცია ძალაში რჩება დანარჩენი ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის.

მუხლი 45

ნიდერლანდის სამეფოს საგარეო სამინისტროს კონფერენციის წევრ სახელმწიფოებსა და სახელმწიფოებს, რომლებიც შეუერთდნენ კონვენციას 38-ე მუხლის თანახმად, ატყობინებს:

(1) იმ ხელმოწერებისა და რატიფიკაციების, მიღებებისა

და დამტკიცებების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 37-ე მუხლში;

(2) იმ შეერთებების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 38-ე მუხლში;

(3) იმ თარიღის შესახებ, როდესაც კონვენცია ძალაში შედის თანახმად 43-ე მუხლისა;

(4) კონვენციის მოქმედების იმ გავრცელებების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 39-ე მუხლში;

(5) იმ განცხადებების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 38-ე და მე-4 მუხლებში;

(6) იმ დათქმების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 24-ე მუხლსა და 26-ე მუხლის მესამე პუნქტში, და დათქმათა იმ გაუქმებების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 42-ე მუხლში;

(7) იმ დენონსაციების შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია 44-ე მუხლში.

ამის დასტურადაც ქვემოთ ხელის მომწერებმა, იყვნენ რა ამისთვის სათანადოდ უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ჰააგაში, 1980 წლის 25 ოქტომბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია, ერთ ეგზემპლარად, რომელიც შესაძლავდ ჰქონდეს ნიდერლანდის სამეფოს მთავრობის არქივებს, და რომლის დამონმებული ასლიც დიპლომატიური არხებით ეგზავნება თითოეულ სახელმწიფოს, წევრს საერთაშორისო სამართლის საკითხებში ჰააგის კონფერენციისა.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2011 წლის ივნისში შესული ცვლილებებით, მოწესრიგდა ახამაიტრომიეხად გადაადგილებული ან ახამაიტრომიეხად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვის თავისებულებანი (კახი მეშვიდე, თავი XLII², მუხლები: 351⁷-351¹⁸). კოდექსმა მოახდინა კონვენციის მიზნებისა და ამოცანების იმპლემენტაცია. ყუხადლებას გავამახვილებთ იმ აუცილებელ ჩანაწეხებსა და მიდგომებზე, ხომელიც პაქტიკოსს ადვოკატებს დაეხმახებათ საქართველოს სასამაიტროში დავის წაჰმოების დოს წინდახეღებებისთვის.

რომელია საქართველოს შემთხვევაში დავის წარმოების დროს ცენტრალური ორგანო?

დავის წარმოების დროს ცენტრალური ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ვინ შეიძლება იყოს ბავშვის დაბრუნებაზე განმცხადებელი?

ნებისმიერი პირი ან ორგანო, რომელიც წარმოადგენს სარჩელს არამართლობიერად გადაადგილებული ან არამართლობიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

რომელი სასამართლო ინსტანცია განიხილავს საქმეს საქართველოში?

არამართლობიერად გადაადგილებული ან არამართლობიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს პირველი ინსტანციით განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამ თავის მიზნებისათვის, თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია – დასავლეთ საქართველოს. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებები ექვემდებარება გასაჩივრებას ქუთაისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოების მეშვეობით, ხოლო სააპელაციო სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებები გასაჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წესით. გასაჩივრების დროს მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადები.

რა შემთხვევაშია ჩაითვლება ბავშვი არამართლობიერად გადაადგილებული?

პირისათვის ან ორგანოსათვის ინდივიდუალურად ან მათთვის ერთობლივად მიკუთვნებული იმ მეურვეობის უფლების დარღვევა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ბავშვი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა უშუალოდ არამართლობიერ გადაადგილებამდე, და რომელიც ბავშვის გადაადგილების დროისათვის რეალურად გამოიყენებოდა ინდივიდუალურად ან ერთობლივად ან/და ამგვარად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა მისი არამართლობიერი გადაადგილება, ამასთანავე, ბავშვი ამ სახელმწიფოდან კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში მეურვეობის უფლების მქონე პირის ან ორგანოს ნებართვის გარეშე გადაადგილდა და მისი მოთხოვნის შემდეგ ბავშვის ქვეყანაში დაბრუნება არ ხდება.

რა შემთხვევაშია ჩაითვლება ბავშვი არამართლობიერად დაკავებულად?

პირისათვის ან ორგანოსათვის ინდივიდუალურად ან მათთვის ერთობლივად მიკუთვნებული იმ მეურვეობის უფლების დარღვევა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ბავშვი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა უშუალოდ არამართლობიერ დაკავებამდე, და რომელიც ბავშვის დაკავების დროისათვის რეალურად გამოიყენებოდა ინდივიდუალურად ან ერთობლივად ან/და ამგვარად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა მისი არამართლობიერი დაკავება, ამასთანავე, ბავშვი ამ სახელმწიფოდან კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში განსაზღვრული ვადით, მეურვეობის უფლების მქონე პირის ან ორგანოს ნებართვის შედეგად გადაადგილდა, თუმცა ამ ვადის გასვლის შემდეგ, მეურვეობის უფლების მქონე პირის ან ორგანოს მოთხოვნის მიუხედავად, ბავშვის ჩვეული საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში დაბრუნება არ ხდება.

როგორ დგინდება ბავშვის არამართლობიერი გადაადგილების/დაკავების ფაქტი?

იმ ფაქტის დადგენისას, არამართლობიერად იყო თუ არა გადაადგილებული/დაკავებული ბავშვი, სარჩელის მიმღებ სასამართლოს შეუძლია უშუალოდ იხელმძღვანელოს ბავშვის ჩვეული საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს კანონმდებლობით, ამ სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ან/და მესამე სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა ეს გადაწყვეტილება ბავშვის ჩვეული საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს მიერ, ისე, რომ არ მიმართოს სპეციალურ პროცედურებს, რომლებსაც იგი სხვა შემთხვევაში ამგვარი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისათვის - დადასტურებისათვის - ცნობისათვის გამოიყენებდა.

რა ვადაში განიხილება დავა?

სასამართლო არამართლობიერად გადაადგილებული ან არამართლობიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაჩქარებული წესით, საქმის წარმოებაში მიღებიდან ექვსი კვირის განმავლობაში. ამასთან, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე განმცხადებელს შეუძლია დააყენოს შუამდგომლობები: ა) ბავშვის გადაადგილების შეზღუდვის შესახებ ბრძანების გაცემის თაობაზე, ბ) ბავშვის შესაბამის პირთან ან დანესებულებაში მოთავსების შესახებ ბრძანების გაცემის თაობაზე, გ) შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით ბავშვის ადგილსამყოფლის დადგენის შესახებ ბრძანების გაცემის თაობაზე და დ) ნებისმიერი სხვა ბრძანების გაცემის თაობაზე, რომელსაც განმცხადებელი

მიზანშეწონილად მიიჩნევა კონვენციის დებულებებიდან გამომდინარე. აღნიშნული შუამდგომლობა განიხილება 48 საათში.

რა შინაარსის გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო?

სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას არამართლობიერად გადაადგილებული ან არამართლობიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების შესახებ, თუ: ა) ბავშვი არამართლობიერად არის გადაადგილებული ან არამართლობიერად არის დაკავებული და მისი არამართლობიერი გადაადგილების ან არამართლობიერი დაკავების თარიღიდან სარჩელის წარდგენის მომენტამდე გასულია ერთ წელზე ნაკლები, ბ) ბავშვის არამართლობიერი გადაადგილების ან არამართლობიერი დაკავების თარიღიდან სარჩელის წარდგენის მომენტამდე გასულია ერთ წელზე მეტი და თვალნათლივ არ იქნა ნაჩვენები, რომ ბავშვი ინტეგრირებულია თავის ახალ გარემოში. ასევე, სასამართლოს არ არის შეზღუდული, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის დაბრუნების შესახებ.

რა შემთხვევაში დარჩება ბავშვი საქართველოში?

თუ სასამართლო გაიზიარებს მტკიცებას და დასაბუთებას, რომ ა) ბავშვის არამართლობიერი გადაადგილების/დაკავების თარიღიდან შესაბამისი განცხადების ან სარჩელის წარდგენის მომენტამდე 1 წელზე მეტია გასული და იგი ინტეგრირებულია ახალ გარემოში, ბ) პირი ან ორგანო, რომელიც ბავშვის დაბრუნებას ითხოვს, ბავშვის საქართველოში არამართლობიერი გადაადგილების/დაკავების მომენტისათვის რეალურად არ ახორციელებდა მეურვეობას ანდა დაეთანხმა ან მოგვიანებით შეეგუა ბავშვის ასეთ გადაადგილებას/დაკავებას, გ) ბავშვის ასაკი, მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გათვალისწინებულ იქნეს მისი აზრი, და იგი ცალსახად უარს აცხადებს დაბრუნებაზე და დ) არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის ანდა სხვაგვარად ჩააყენებს აუტანელ მდგომარეობაში.

არსებობს თუ არა შესაძლებლობა არ აღსრულდეს გადაწყვეტილება?

თუ არამართლობიერად გადაადგილებული/დაკავებული ბავშვის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებისათვის პასუხისმგებელი ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზომების მიღების შემდეგ ბავშვი, რომელმაც მიაღწია ისეთ ასაკსა და სიმწიფის ხარისხს, როდესაც მისი აზრის გათვალისწინება მიზანშეწონილია, უარს იტყვის დაბრუნებაზე, საქმე ეგზავნება ამ გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს, რომელიც საქმის წარმოებაში მიღებიდან 1 კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურის შეწყვეტის შესახებ. თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს, ეს გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენით მიიღება. თუ არამართლობიერად გადაადგილებული- დაკავებული ბავშვი უარს იტყვის დაბრუნებაზე, მისი ნების ნამდვილობა ფსიქოლოგის დასკვნით უნდა დადასტურდეს.

როგორია ხარჯების საკითხი საქმის განხილვის დროს?

განმცხადებელი თავისუფლდება პროცესის ხარჯების ანაზღაურებისაგან. სასამართლო იმ პირს, რომელმაც ბავშვი არამართლობიერად გადაადგილა ან არამართლობიერად დააკავა, ანდა რომელმაც ხელი შეუშალა ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებას, აკისრებს იმ აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც გაიღო განმცხადებელმა, მათ შორის, სამგზავრო ხარჯებს, ბავშვის ადგილსამყოფლის დასადგენად გაღებულ ნებისმიერ ხარჯს ან გადახდილ თანხას, განმცხადებლის იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯებს და ბავშვის დაბრუნების ხარჯებს.



მორიგების აქტის პროექტი

მორიგების აქტის სტრუქტურა:

1 სასამართლოს დასახელება (მოსამართლე ან მოსამართლეები)

2 სამოქალაქო საქმე: N

3 მორიგების აქტის მხარეები:

4. დავის საგანი: არამართლზომიერად გადაადგილებული და დაკავებული არასრულწლოვანის (მივუთითოთ ქვეყანა) დაბრუნება

5 შეთანხმების საგანი:

სტივენ გ. და ნინო გ. (შემდეგში - მხარეები) თანხმდებიან მორიგებით დაასრულონ მიმდინარე დავა და მორიგების აქტის საფუძველზე, შეწყდეს საქმისწარმოება, რასთან დაკავშირებითაც, მიაღწიეს ქვემოთ მოცემულ შეთანხმებას:

1. მხარეთა ვალდებულებები:

1.1. სტივენ გ. და ნინო გ. თანხმდებიან, რომ არასრულწლოვან (სახელი, დაბადების თარიღი, პირადობის პირადი ან პასპორტის ნომერი) საცხოვრებელი ადგილი განისაზღვროს დედის - ნინო გ.-ს (პირადობის პირადი ნომერი) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მხარეები თანხმდებიან, რომ დედის საცხოვრებელი ადგილია: საქართველო. სტივენ გ. უარს ამბობს არასრულწლოვან (ვინაობა) გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაბრუნებაზე.

1.2 სტივენ გ. და ნინო გ. თანხმდებიან, რომ არასრულწლოვან (სახელი) მეურვეობისა და მზრუნველობის უფლებებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს დედა - ნინო გ. შესაბამისად, ნინო გ. უფლებამოსილია მამის - სტივენ გ.-ს თანხმობის გარეშე, განახორციელოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და მიიღოს ბავშვის (სახელი) ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებები სკოლამდელი აღზრდისა და სკოლის საკითხებზე, სამედიცინო მომსახურების განხორციელების საკითხებზე, პერსონალური და მათემატიკური დოკუმენტების მომზადების საკითხებზე, საბანკო მომსახურების საკითხებზე, ქონებრივ და არაქონებრივ საკითხებზე.

1.3 სტივენ გ. და ნინო გ. უარს ამბობენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის სასამართლოებში (ნებისმიერ ინსტანციაში) ამჟამად მიმდინარე საქმე) არსებულ სასარჩელო მოთხოვნებზე, რომელიც შეეხება ერთის მხრივ მეურვეობის უფლების დადგენას, მეორეს მხრივ კი ბავშვთან ურთიერთობის წესის დადგენას. მხარეები იღებენ ვალდებულებას წერილობითი ფორმით მიმართოს სასამართლოს სარჩელის განხილვაზე უარის თქმის შესახებ;

1.4 ნინო გ. უარს ამბობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სტივენ გ.-ს მიმართ, დავის საგანზე: შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა (საქმე: N2) წარმოებულ სარჩელზე და იღებს ვალდებულებას წერილობითი ფორმით მიმართოს სასამართლოს სარჩელის განხილვაზე უარის თქმის შესახებ;

1.5 სტივენ გ. იღებს ვალდებულებას არასრულწლოვან (სახელის) სრულწლოვანებამდე, მოახდინოს ალიმენტის გადახდა. ალიმენტის ყოველთვიური ოდენობა შეადგენს (თანხის მითითება) ევროს. გადახდა იწარმოებს ნინო გ.-ს კუთვნილ საბანკო ანგარიშზე დარიცხვით. გადახდა იწარმოებს ყოველი კალენდარული თვის 30 რიცხვში. საალიმენტო ვალდებულების შესრულების ვალდებულება სტივენ გ.-ს წარმოეშობა 20XX წლის 30 აგვისტოს.

ნინო გ. უარს ამბობს მორიგების აქტის დამტკიცებამდე საალიმენტო ვალდებულების მოთხოვნაზე. ამასთან, სტივენ გ. იღებს ვალდებულებას, წინასწარი შეტყობინების გზით, აანაზღაუროს არასრულწლოვანის განათლების და ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები, რაც შესაძლებელია აღემატებოდეს ალიმენტით განსაზღვრულ ყოველთვიურ ოდენობას.

1.6 მხარეები თანხმდებიან, რომ სტივენ გ.-ს უფლება აქვს დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, წელიწადის ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გზით, შეხვდეს და მოინახულოს არასრულწლოვანი (სახელი). მხარეები თანხმდებიან, რომ არასრულწლოვანთან შეხვედრაში მონაწილეობდეს ნინო გ. ან ნინო გ.-ს ნდობით აღჭურვილი ოჯახის წევრი ან წარმომადგენელი ან სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სათანადო უფლებამოსილების მქონე პირი. სტივენ გ. ვალდებულია არასრულწლოვანი დააბრუნოს დედასთან. მხარეები არ თანხმდებიან ბავშვის ღამის თევით გადაადგილებაზე. არასრულწლოვანის ღამის თევით უფლებით მამასთან დარჩენის ასაკად განისაზღვროს 11 წელი.



1.7 მხარეები თანხმდებიან, რომ სტივენ გ.-ს უფლება აქვს შეუზღუდავი და წინასწარ შეთანხმებული პერიოდულობით, კომუნიკაცია გააჩნდეს არასრულწლოვან (სახელი). მხარეები კომუნიკაციის ფორმად განსაზღვრავენ სოციალური ქსელის საშუალებებს (WhatsApp, Skype, სხვა). მშობელი, რომელთანაც იმყოფება ბავშვი, ვალდებულია მეორე მშობელთან უზრუნველყოს ბავშვის შეუფერხებელი კომუნიკაცია.

1.8 მხარეები თანხმდებიან, რომ სტივენ გ.-ს უფლება არ აქვს არასრულწლოვანი (ვინაობა) დედის - ნინო გ.-ს თანხმობის გარეშე, გაიყვანოს საქართველოს ტერიტორიის საზღვრიდან. სტივენ გ. თანხმობას იძლევა დედამ - ნინო გ.-მ არასრულწლოვანი (სახელი) გაიყვანოს საქართველოს ტერიტორიის საზღვრიდან, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიმართულებით, აგრეთვე სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში სამოგზაურო მიზნებიდან გამომდინარე; საცხოვრებელი ადგილის შეცვლის ან/და საქართველოს ტერიტორიიდან ბავშვის 4 კვირზე მეტი ხნით გაყვანის შემთხვევაში, საჭიროა სტივენ გ.-ს წერილობითი თანხმობა.

1.9 მხარეები უარს აცხადებენ წინამდებარე დავის საგნის ირგვლივ ქონებრივი ან სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაზე. ასევე, დავის საგნის ირგვლივ ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე, როგორც საქართველოს საერთო სასამართლოებში, საქართველოს პოლიციაში, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, არბიტრაჟში, ისე, ნებისმიერი სხვა ქვეყნის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

1.10. მხარეები აღიარებენ, რომ წინამდებარე მორიგების აქტი წარმოადგენს მხარეთა ურყევი ნების გამოხატულებას, ისინი მოქმედებენ გონივრული განსჯის საფუძველზე და რაიმე უარყოფით ზემოქმედებას მხარეთა ნების გამოვლენის მიმართ ადგილი არ აქვს და არც სამომავლოდ გახდება ამ ან რაიმე სხვა მიზეზით წინამდებარე მორიგების აქტი ან/და ამ მორიგების აქტით მოცული სამართალური ნორმები ხელშემკვრელ მხარეთა შორის დავის საგანი.

1.11. მხარეები აცნობიერებენ და ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების აქტს, სასამართლოს მიერ მისი დამტკიცების შემთხვევაში, ენიჭება სასამართლო გადაწყვეტილების ძალა, რომლითაც წყდება მიმდინარე დავა. ამასთან, მხარეთა მიერ, ამ შეთანხმების პირობები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღიარება მოხდება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და მხარეთა შორის ბავშვთან დაკავშირებული უთანხმოების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებას და მის დათქმებს.

2. ვალდებულების დარღვევის შედეგები:

2.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მორიგების აქტის პირობების დარღვევად მიიჩნევა შეთანხმებული ვალდებულებებიდან ერთ-ერთის შეუსრულებლობა.

2.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ალიმენტის გადაუხდელობის შემთხვევაში, ნინო გ. უფლებამოსილია სასამართლო მეშვეობით, მოითხოვოს და მიიღოს სააღსრულებლო ფურცლი და აღნიშნული წარადგინოს, როგორც საქართველოს, ასევე გერმანიის სააღსრულებლო უწყებებში.

2.3. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარის მიერ დარღვეული იქნება წინამდებარე მორიგების აქტით განსაზღვრული რომელიმე ვალდებულება, მხარე, რომლის მიმართაც დაირღვა ეს ვალდებულება, უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს ვალდებულების აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. მხარეთა გარანტიები

3.1 მხარეები და მათი წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ისინი არიან სათანადოდ უფლებამოსილი და სრული უფლებით აღჭურვილი, რათა ხელი მოაწერონ შეთანხმებას და ყველა საჭირო დოკუმენტს, რომლებიც დაკავშირებულია ამ შეთანხმებასთან, რისთვისაც ისინი მოქმედებენ შესაბამის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან სრული შესატყვისობით;

3.2 მხარეები ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალელებლ სამართლებრივ დოკუმენტს;

3.3 მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული მხარეთა გარანტიები უპირობოდ ვრცელდება შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ პერიოდზე;

4. დასკვნითი დებულებები:

4.1 მხარეები თანხმდებიან, თითოეულ მხარეს ეკისრება მის მიერ გადახდილი ბაჟი, ხოლო სტივენ გ. ვალდებულია, წინამდებარე მორიგების აქტის ხელმოწერიდან 3 კალენდარული დღის მანძილზე, ნინო გ.-ს აუნაზღაუროს სასამართლოს გარეშე ხარჯი - XXX ლარი და იურიდიული მომსახურების ღირებულება - XXX ლარის ოდენობით.

4.2 წინამდებარე შეთანხმების აღსრულებისათვის ყველა აუცილებელი შეტყობინება მხარეებს მიენოდება წერილობითი ფორმით. ამასთან, მხარეები აცხადებენ, რომ ერთმანეთისთვის ცნობილია საქმის მორიგებით დამთავრებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები.

4.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მორიგების აქტის დარღვევის, ან მშობლებს შორის ან არასრულწლოვანთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტა მოხდება მხოლოდ საქართველოს სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე სასამართლოს გადაწყვეტილება და მორიგების აქტით განსაზღვრული შეთანხმებები წარმოადგენს მხარეთა შორის შეთანხმებულ ერთადერთ და უპირატეს პირობებს, რომელიც არსებითად გამოირიცხავს მანამდე საქართველოს ან/და გერმანიის კომპეტენტურ უწყებებში (სასამართლო და აღმასრულებელი ორგანოები) არსებული ყველა შეთანხმების ან/და გადაწყვეტილების მიმართ რაიმე ფორმით უპირატესობის მინიჭებას ან მათით ხელმძღვანელობას.

4.5. მორიგების აქტი შედგენილია ქართულ ენაზე „I“ ეგზემპლარად და წარედგინება დასამტკიცებლად სასამართლოს.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

ნინო გ.

წარმომადგენელი:

სტივენ გ.

წარმომადგენელი:

სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი

2018 წელს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, გეგმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) და ევროკავშირის პროექტის: „კვიძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ ფაჩვებში, გამოიცა პრაქტიკული სახელმძღვანელო იუხისტიცისა და მოსამართლეებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ჰააგის „1980 წლის ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციის ეფექტიან იმპლემენტაციას და ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

სახელმძღვანელო დაყოფილია 8 თავად და მოიცავს კონვენციიდან გამომდინარე ყველა მნიშვნელოვან და პირობით საერთაშორისო საკითხს, რომელთა განმარტების საჭიროებას სასამართლოს წინაშე შეიძლება დადგეს.

გამოცემაში განხილულია, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის სასამართლოების მიერ კონვენციის ფაჩვებში მიღებული გადაწყვეტილებები. ამდენად, სახელმძღვანელო ფასდაუდებელ სამსახურს უწევს საკითხით დაინტერესებულ პიროვნულ საზოგადოებას და გამოცემა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდებზე: <https://justice.gov.ge> და <http://lawlibrary.info/ge>

ოჩგანიზაცია ყუხადლებას დაუთმობს, რომ სახელმძღვანელოში განხილულია საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული 9 გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს პეიოტს 2009 წლიდან 2017 წლის მდგომარეობით ანუ სახელმძღვანელოს გამოცემის მდგომარეობით არსებული სამართლებრივი გადაწყვეტილებების ანალიზს. კვიძო, საქმეები: 1. ბავშვის გადაადგილება ავსტრიის ხესპურტიკიდან (2009-2010 წ.წ.), 2. გეგმანიის ფედერაციული ხესპურტიკიდან გადაადგილებული ბავშვის დაკავება საქართველოში (2010 წ.), 3. უკრაინიდან გადაადგილებული ბავშვის დაკავება საქართველოში (2011-2015 წ.წ.), 4. საბეჩნეთის ხესპურტიკიდან გადაადგილებული ბავშვის დაკავება საქართველოში (2013 წ.), 5. კვიპოსის ხესპურტიკიდან გადაადგილებული ბავშვის დაკავება საქართველოში (2013 წ.), 6. ბავშვის გადაადგილება ნიდერლანდების სამეფოდან (2014 წ.), 7. საბეჩნეთის ხესპურტიკიდან გადაადგილებული ბავშვის დაკავება საქართველოში (2014 წ.), 8. გეგმანიის ფედერაციული ხესპურტიკიდან გადაადგილებული ბავშვის დაკავება საქართველოში (2014-2016 წ.წ.) და 9. ბავშვების გადაადგილება თუჩქეთის ხესპურტიკიდან (2016-2017 წ.წ.).

ოჩგანიზაცია ყუხადლებას დაუთმობს იმ გაჩემობას ჰააგის „1980 წლის ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციის ფაჩვებში, ამ დროისთვის, ეთადეხით დავა განხილული იქნა საქართველოს წინააღმდეგ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში. საქმე შეუხებოდა უკრაინიდან საქართველოში გადაადგილებული ბავშვის დაკავების საკითხს, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დახლვევა და საქართველოს სახელმწიფოს დაავისა ფუადი ზიანის სახით 300 ევროს, ახამატეხიარული ზიანის სახით 8 000 ევროს და საჩუებისთვის 800 ევროს ღირის სასაჩებებლო ანაზღაურება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს სასამართლოების მიერ სათანადოდ არ იქნა შეფასებული და შემოწმებული ექსპეჩტა დასკვნები და სხვა მტკიცებულებები. კვიძო, სასამართლოებმა, როდესაც აფასებდნენ ბავშვის საუკეთესო ინტეჩესებს, არ გაითვარისწინეს ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის დასკვნები იმის თაობაზე, რომ ბავშვი განიცდიდა მშობლებთან უთიეხობის დეფიციტს და იმყოფებოდა ისეთ სიტუაციაში, რომლის გაგებაც არ შეეძლო. სასამართლოს განცხადებით, ბავშვის საუკეთესო ინტეჩესები კითხვის ნიშნის ქვეშ დებოდა მისი საქართველოში იმ ნათესავებთან დატოვებით, რომელთაც არ ჰქონდათ მეუჩვეობის უფლება, მაშინ, როდესაც ახასხუდწლოვანს ცხოვრების პიჩვეი 6 წელი გატაჩებული ჰქონდა უკრაინაში. სასამართლოს განცხადებით, საქმეში ვეჩ იქნა მოძიებული პიჩდაპიჩი და დამატეჩებული მტკიცებულება, ჩაც პიჩვეი და მესამე ინსტანციების სასამართლოთა აჩგუმენტაციების ძიითად ხაზს გაამყაჩებდა. სასამართლოს განცხადებით, ექსპეჩტების შეფასება არ გაკეთებულა კონვენციით გათვარისწინებული სავაჩაურე ჩისკისა და მშობლიური ოჯახიდან ბავშვის დაშორების თაობაზე. დასკვნებმა არჩენა, რომ ახასხუდწლოვანს ჰქონდა ფსიქოლოგიური ტრავმა და საჭიროებდა დახმარებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საერთოდ გამოტოვა იმ ჩისკის შეფასება, ჩაც შეიძლებოდა დამდგაჩიყო ბავშვის საქართველოში დაჩჩენით; ასევე, სასამართლომ აჩანაჩი შეფასება არ გაუკეთა ექსპეჩტა დასკვნას იმის თაობაზე, რომ ბავშვი განიცდიდა მშობლებთან უთიეხობის დეფიციტსა და გაუჩვევლობას.

უფრო მეტიც, აჩანაჩი დასაბუთება არ არსებობდა იმისა, რომ თავად დედა იყო ბავშვისათვის ჩაიჩე სახის საშიშროების წყაჩო; ბოლოს, ის ფაქტი, რომ მამა ჩუსეთში ცხოვრობდა და ბავშვი, ძიითად, იმყოფებოდა მამის ოჯახში, რომლის წეჩეხებსაც არ ჰქონდათ ბავშვზე მეუჩვეობის უფლება, სხუდრად იგროჩიჩებულ იქნა სასამართლოს მხიდან.

საერთო ჯამში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ უზენაესი სასამართლოს განჩინებით ვეჩ იქნა განსაზღვრული ბავშვის საუკეთესო ინტეჩესები სპეციფიკური გაჩემობების კონტექსტში და ვეჩ მოხდა მნიშვნელოვანი და საკმაჩისი აჩგუმენტაციის წაჩმოდგენა და მხაჩეთა საწინააღმდეგო ინტეჩესების ბაღანსიჩებულად შეფასება. სასამართლომ ასევე დაადგინა ისიც, რომ აჩათურმა სასამართლოებმა ვეჩ მოახეჩეს საქმის სწაფად განხილვა, კვიძო, განსაკუთრებულად ყუხადსაღებია კასაციის ეტაპზე საქმის განხილვის 9-თვიანი პეიოტი, მიუხედავად კონვენციით დადგენილი 6-კვიჩიანი ვადისა. შესაბამისად, სასამართლომ განაცხადა, რომ დაჩილვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

ამ საქმეზე პოცედურული ისტოჩია კი ასეთია: თბილისის საქალქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოდეჩის 2011 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით, შუამდგომლობა ბავშვის უკრაინაში დაბრუნების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით, დეჩის სააპელაციო არჩივაჩი დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის საქალქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბავშვის უკან დაბრუნების შესახებ დეჩის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასარჩივა მამამ. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და მიიღო ახალი განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა დეჩის შუამდგომლობა ბავშვის უკრაინაში დაბრუნების თაობაზე. საქმე, ეროვნული სამართალწაჩმობების შემდეგ გაიგზავნა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე – G.S. v. GEORGIA (Applicationno. 2361/13) [INCADAT cite: HC/E/ GE 1349].

ოჩგანიზაცია ყუხადლებას შეაჩეხებს სახელმძღვანელოს შემდეგ არსებულ სასამართლო გადაწყვეტილებების საკითხზე. კვიძო, 1. ახასხუდწლოვანის კვიპოსის ხესპურტიკიდან საქართველოში გადაადგილების საქმე (2019-2021 წ.წ.), ახასხუდწლოვანის ჩუსეთის ფედერაციული საქართველოში გადაადგილების საქმე (2021-2022 წ.წ.) და 3. ახასხუდწლოვანის გეგმანიის ფედერაციული ხესპურტიკიდან საქართველოში გადაადგილების საქმე (2020-მიმდინარე). შესაბამისად, ოჩგანიზაცია სამივე საქმეზე წაჩმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებებს, ჩათა პრაქტიკოსს ადვოკატებსა და იუხისტებს ჰქონდეს უახლოესი ინფოჩმაცია სასამართლოების მიდგომებზე.

არასრულწლოვანის კვიპროსის რესპუბლიკიდან საქართველოში გადაადგილების საქმე (2019-2021 წ.წ.)



საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

კვიპროსის რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დედა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა (თუმცა დედას ქორწინებამდე გააჩნდა ქართველი მამის გვარი), მამა - ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქე. ისინი დაქორწინდნენ 2013 წლის 13 ივნისს ჩეხეთის რესპუბლიკაში. 2014 წლის 01 ივნისს შეეძინათ შვილი, რომელიც არის ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქე. 2014 წლის დეკემბერში, ოჯახი საცხოვრებლად გაემგზავრა კვიპროსის რესპუბლიკაში. 2018 წლის თებერვალში, ოჯახი დროებით ჩამოვიდა საქართველოში, ხოლო 2018 წლის 30 აპრილს მამა არასრულწლოვან შვილთან ერთად დაბრუნდა კვიპროსის რესპუბლიკაში. 2018 წლის 4 დეკემბერს, მამამ არასრულწლოვანი დედის თანხმობის გარეშე გადაადგილა საქართველოს მიმართულებით, რომელიც უარს აცხადებს არასრულწლოვანის კვიპროსის რესპუბლიკაში ნებაყოფლობით დაბრუნებაზე.

მამის განმარტებით, არასრულწლოვანი დაბადებიდან ცხოვრობს მასთან, რომელიც ზრუნავს და უქმნის მას ყველა პირობას, რათა დაცული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. არასრულწლოვანის დედასთან დაბრუნება არ ემსახურება მის საუკეთესო ინტერესებს, რადგან მას არ აქვს საერთოდ გამოცდილება ბავშვთან დამოუკიდებელი ურთიერთობისა, არ იცის ჩეხური ენა, ხოლო ბავშვმა არ იცის რუსული და ინგლისური ენები. მოსარჩელე არის ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას მომხმარებელი, აქვს პათოლოგიური მიჯაჭვულობა ინტერნეტის მიმართ, იგი მუდმივად იმყოფება სხვადასხვა ქვეყნებში სამოგზაუროდ, ხოლო იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც იმყოფებოდა ბავშვთან, მაშინაც არ არის არასრულწლოვანის უსაფრთხოება დაცული.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე არ იყო ინფორმირებული რომელ ქვეყანაში იმყოფებოდა ბავშვი, არის სიცრუე, რადგან როგორც პირად საუბრებში, ასევე სკაიპის მეშვეობით, დედა ინფორმირებული იყო ბავშვის საქართველოში შემოყვანასთან დაკავშირებით. რაც შეეხება არასრულწლოვანს, იგი ადაპტირებულია საქართველოში, ჰყავს მეგობრები, დადის საბავშვო ბაღში და აქვს ძალიან კარგი საცხოვრებელი პირობები.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის მიხედვით, არასრულწლოვანი მამასთან და ბებიასთან ერთად ცხოვრობს საქართველოში 2018 წლის დეკემბრის თვიდან. ბავშვის დედა მიმდინარე პერიოდისათვის ცხოვრობს კვიპროსის რესპუბლიკაში, სადაც მუშაობს. არასრულწლოვანს ესმის რუსული და ჩეხური ენები, მაგრამ საუბრობს მხოლოდ ჩეხურ ენაზე.

არასრულწლოვანს აქვს ყველა პირობა დაცული იმისათვის, რომ მისი უსაფრთხოება იყოს დაცული და ბავშვი იყოს კეთილსაიმედო გარემოში. მამის განცხადებით, ბავშვი დადის კერძო ბაღში. მამა-შვილს შორის არის მჭიდრო ემოციური კავშირი, რაც გამოიხატება მათ შორის მოფერების და ზრუნვის პროცესის დროს კომუნიკაციის ფორმებში. მამა ზრუნავს შვილზე და მობილიზებულია იმისათვის, რომ ბავშვს შეექმნას ყველანაირად კომფორტული გარემო. ბავშვი მამის გვერდით თავს გრძნობს დაცულად და უზრუნველად. მამას აქვს ბავშვთან განშორების შიში და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ბავშვი დაჩეს მასთან მუდმივ საცხოვრებლად, ის მუდმივად აკეთებს აქცენტს

ყოფილ მეუღლესთან თანაცხოვრების პერიოდში შექმნილ პრობლემებზე.

მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის განმარტებით, ბავშვს უნდა ჰქონდეს ხშირი კომუნიკაცია დედასთან, რათა სრულიად აღიდგინოს ნდობა დედის მიმართ, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის მამამ. მამის ოჯახი არ ცდილობს ბავშვის დედის მიმართ კეთილგანწყობა და სიყვარული შეუნარჩუნოს.

არასრულწლოვანთან დედის შეხვედრა მოხდა 2019 წლის 07 სექტემბერს, რა დროსაც დედის მოფერებაზე ბავშვი პასუხობდა კოცნით, მოფერებით და არ გამოხატულა მისი მხრიდან შფოთვა და აღელვება. დედა-შვილს შორის შეინიშნებოდა ჯანსაღი, თბილი და მშვიდი ურთიერთობა. დედა-შვილის ურთიერთობა მეორე დღესაც იყო თბილი და მშვიდი. გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანი, რომელიც არის მოსიყვარულე ბავშვი სურვილი აქვს ორივე მშობელთან ერთად ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობებში, მას სჭირდება, როგორც დედის სითბო და ყურადღება, ასევე მამის მზრუნველობა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი ორივე მშობელს კიდებდა ხელს და ორივეს ერთად რთავდა თამაშში, ბავშვისათვის ოჯახის ცნება გამოხატული იყო ორივე მშობელთან ახლო კონტაქტით და იმის დანახვით, რომ დედ-მამა ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილი იყვნენ.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განმარტებით, არასრულწლოვანის განვითარებისა და აღზრდისათვის, მისთვის კეთილსაიმედო გარემოს შესანარჩუნებლად, მიზანშეწონილია ბავშვს ორივე მშობელთან ჰქონდეს მჭიდრო და დადებითი ემოციური კავშირი, რაც თავის მხრივ ორივე მხარემ უნდა გაითვალისწინოს და არ უნდა შეუშალოს ხელი ერთმანეთს შვილთან ურთიერთობაში.

საქმის პროცედურული ისტორია:

2019 წლის 22 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სარჩელი, „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის შესაბამისად, კვიპროსის რესპუბლიკიდან საქართველოში არამართლზომიერად გადაადგილებული და დაკავებული დაკავებული არასრულწლოვანის კვიპროსში დაბრუნების თაობაზე დაკმაყოფილდა. საქართველოდან კვიპროსის რესპუბლიკაში არასრულწლოვანი ბავშვის დაბრუნება (წყევანა) დაევალა დედას. გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების საჭიროების შემთხვევაში, ჩართული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ბავშვის დაბრუნების ხარჯები დაეკისრა მამას, რაც გასაჩივრდა სააპელაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 31 ივლისის განჩინებით, უცვლელი დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. დამატებით, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივ გარემოებებიდან გამომდინარე, 2020 წლის 5 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება და დედას აუკრძალა ბავშვის საქართველოს საზღვრებს გარეთ გადაადგილება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმეს ახალი მტკიცებულებების სახით დაურთო 30-მდე დოკუმენტი, რომლის წარდგენაც, სხვადასხვა პროცესუალური საფუძვლით არ მოხდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გასაჩივრდა საკასაციო წესით. 2021 წლის 19 აპრილის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, მამის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გააუქმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოყენებული დროებითი განკარგულებები.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დასაბუთება:

სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველ რიგში, სასამართლოსათვის განსახილველ საკითხს წარმოადგენს ჰააგის 1980 წლის კონვენციით დადგენილი საერთაშორისო გატაცების საკითხი. კერძოდ, არასრულწლოვანი ბავშვი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულია თუ არამართლზომიერი საფუძვლით. დადგენილია, რომ არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა კვიპროსის რესპუბლიკა, სადაც ის ცხოვრობდა მშობლებთან ერთად, მათ შორის დედასთან ერთად და რომელიც მასზე ფაქტობრივად ახორციელებდა მეურვეობას. საქმის მასალებით დადგენილია, ასევე, რომ არასრულწლოვანის მამამ, 2018 წლის 30 აპრილს მიმართა ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს განცხადებით, რომ ვითომდა დაკარგა შვილის პასპორტი და მოითხოვა სამგზავრო დოკუმენტის გაცემა, არასრულწლოვანი სამგზავრო დოკუმენტის მიღების შემდგომ გაიყვანა საქართველოდან.

საქმის მასალებში წარმოდგენილია დოკუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს 2018 წლის 2 მაისს მიმართა არასრულწლოვანის დედამ და საკონსულო განყოფილებაში წარადგინა ბავშვის პასპორტის ორიგინალი, იმის დასტურად, რომ ის არ არის დაკარგული და მამამ ყალბი ინფორმაცია მიანოდა საელჩოს, რადგან არასრულწლოვანი, დედის თანხმობის გარეშე, გადაადგილა საქართველოს რესპუბლიკიდან.

არასრულწლოვანის დედის განმარტებით, 2018 წლის 30 აპრილის შემდეგ, მას ბავშვი არ უნახავს ერთი წლის და ოთხი თვის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ მან კვიპროსის რესპუბლიკაში დაადგინა შვილის ადგილსამყოფელი, რადგან, მამას გააჩნდა სანინაალმდეგო პოზიცია. ამის შემდგომ, არასრულწლოვანი მამამ გადაადგილა საქართველოში. მამა აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ დედა სწავლობდა საქართველოში, ასევე წარმოადგენდა საქართველოში შპს-ს დირექტორს და 100%-იანი წილის მფლობელს, ამასთან, მათ ჰქონდათ აღებული შრომითი

ბინადრობის მოწმობები, ოჯახს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში ცხოვრების გაგრძელება და აღნიშნულით ცდილობს დაადასტუროს ის გარემოება, რომ დედისთვის ცნობილი იყო არასრულწლოვანის საქართველოში გადაადგილების შესახებ, მაგრამ აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება, რაც გააქარწყლებდა დედის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა მის მიერ შვილის ძებნა სხვადასხვა რესპუბლიკის ორგანოებში არ წარმოუდგენია.

იმის დასტურად, რომ დედას არ აქვს ინფორმაცია მისი შვილის ადგილსამყოფელის შესახებ, ის 2018 წლის 01 მაისიდან გადაადგილება სამ ქვეყანაში: საქართველო, კვიპროსი, ჩეხეთი და ეძებს ქალიშვილს. მან მიმართა პრალის მე-5 საქალაქო რაიონის გამგეობის სოციალურ საქმეთა და დანაშაულის თავიდან აცილების დეპარტამენტს, ჩეხეთის რესპუბლიკის ბავშვთა სამართლებრივი დაცვის ოფისს, როგორც ცენტრალურ უფლებამოსილ ორგანოს ჩეხეთის რესპუბლიკაში, კვიპროსის რესპუბლიკის იუსტიციისა და საჯარო წესრიგის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის მე-7 განყოფილებას, ქ. თბილისის პროკურორს, 2019 წლის ივლისის ბოლოს კვიპროსის პოლიციამ აცნობა დედას, რომ მისი მეუღლე და შვილი იმყოფებოდნენ საქართველოში.

ამასთან, სასამართლო მიუთითებს, რომ ქვეყანაში 2016 წლიდან კერძო კომპანიის მფლობელობა არ შეიძლება ადასტურებდეს კომპანიის მფლობელის ამავე ქვეყანაში ცხოვრების აუცილებლობას, მითუმეტეს, როდესაც მეუღლეს და შვილს ბინადრობის უფლება მოპოვებული აქვთ 2019 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით, არასრულწლოვანის არამართლობიერად გადაადგილების შემდგომ. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებით და საქმეში არსებული მტკიცებულებებით, სასამართლო მიიჩნევს რომ დადასტურებულია ის გარემოება, რომ ბავშვი კვიპროსიდან საქართველოში არამართლობიერად არის გადაადგილებული არასრულწლოვანის მამის მიერ, დედის თანხმობის გარეშე.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ბავშვი წარმოადგენს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის (მე-3 მუხლი) საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე არამართლობიერად დაკავებულ ბავშვს, ვინაიდან ბავშვი დღემდე იმყოფება საქართველოში და მამამ არ უზრუნველყო ბავშვის უკან დაბრუნება. სასამართლოს კვლევის საგანს ამაჯერად წარმოადგენს, არასრულწლოვანის საქართველოში ყოფნის მართლობიერება, რათა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სამართლებრივად შეფასდეს ბავშვი არის თუ არა არამართლობიერად დაკავებული საქართველოში.

სასამართლო მიუთითებს, რომ არასრულწლოვანის საქართველოში არამართლობიერი გადაადგილებიდან გასული არ გახლავთ „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციის მე-12 მუხლიდან გამომდინარე ერთწლიანი ვადა. სასამართლო მიიჩნევს, რომ ინტეგრაცია არის უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ გარემოსთან შეგუება. ის მოიცავს ფსიქოლოგიურ ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებასა და გარემოში დამკვიდრებასთან. აღსანიშნავია ემოციური სტაბილურობისა და უსაფრთხოების შეგრძნება, რომელიც ბავშვს ინტეგრაციის დროს ეუფლება. ბავშვის ინტეგრაცია იმდენად აშკარა უნდა იყოს, რომ ამ გარემოში დარჩენა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესს და მან გადაფაროს კონვენციის უპირველესი ამოცანა, რომელიც არასრულწლოვანის უკან დაბრუნებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს არა პირის, რომელმაც არამართლობიერად გადაადგილა ან დააკავა არასრულწლოვანი, არამედ თავად ბავშვის ინტეგრაცია გარემოსთან.

სასამართლოსათვის ამოსავალი ღირებულებაა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, სასამართლო გადაწყვეტილება ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებიდან გამომდინარე უნდა ეფუძნებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, მხარეთა განმარტებებს, სპეციალისტების მოსაზრებებს, ერთობლიობით გაანალიზებასა და შეფასებას ბავშვის საუკეთესო ინტერესის კონცეფციის კონტექსტში. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ფსიქოლოგის დასკვნები, ბავშვის ასაკობრივი მაჩვენებელი, ფსიქო-ემოციური, დღეს არსებული და სამომავლო კეთილდღეობა, არასრულწლოვანის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.

შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ არასრულწლოვანისა და დედის ურთიერთობა არ არის საფრთხის შემცველი და არ იმოქმედებს უარყოფითად არასრულწლოვანის განვითარებაზე. შესაბამისად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ბავშვის კვიპროსის სახელმწიფოში დაბრუნებაზე, რომელიც ჩაითვალა ბავშვის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილად.

არასრულწლოვანის რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში გადაადგილების საქმე (2021-2022 წ.წ.)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე - დედა არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში. 2011 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ასევე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მამასთან. ერთად ცხოვრების პერიოდში 2015 წლის 27 მარტს მათ შეეძინათ ქალიშვილი. 2017 წლის 18 ნოემბერს, მათ შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

განქორწინების შემდეგ, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიწყო დავა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით და მოსარჩელემ სარჩელით მიმართა ქ. მოსკოვის პრესნენის რაიონულ სასამართლოს, ხოლო მამამ შეიტანა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა.

დავის მიმდინარეობისას მამამ დედის თანხმობის გარეშე არაერთხელ გაიტაცა არასრულწლოვანი საბავშვო ბაღიდან. 2020 წლის 09 ოქტომბრიდან, ასევე ნაიყვანა მოტყუებით, ისე რომ, ბავშვის ადგილსამყოფელი მოსარჩელისთვის უცნობი იყო. ამიტომ მისი შუამდგომლობის საფუძველზე მოსკოვის ოლქის პრესნენის სასამართლომ მიიღო დროებითი განკარგულება ბავშვის მამისთვის ჩამორთმევისა და დედის საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებისა და დედისათვის გადაცემის თაობაზე. განჩინება კანონიერ ძალაშია შესული და გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, თუმცა განკარგულების აღსრულება ვერ მოხერხდა, ვინაიდან მამამ ბავშვი გაიყვანა რუსეთის ფედერაციიდან, მასთან შეუთანხმებლად, 2020 წლის 10 ოქტომბრიდან, ჯერ ბელორუსიაში, შემდეგ გადავიდა არაბულ სახელმწიფოებში, თურქეთში, საიდანაც სტამბოლის აეროპორტის მეშვეობით შემოვიდა ქ. თბილისში 2021 წლის 02 მარტს, ხოლო 04 მარტს ჩავიდა ქ. ბათუმში. ამ ინფორმაციის მიღებისთანავე 2021 წლის 06 მარტს მოსარჩელე ჩამოვიდა ქ. ბათუმში.

შვილის ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით მოსარჩელემ მიმართა საერთაშორისო ინტერპოლს, რომელთაც დაადგინეს ბავშვის ადგილსამყოფელი - საქართველო, ქ. ბათუმი. მოპასუხე უარს ეუბნება მოსარჩელეს ბავშვის რუსეთის ფედერაციაში დაბრუნებაზე. მოპასუხე არ ეთანხმება სასარჩელო მოთხოვნას და მიუთითებს, რომ მას ბავშვი არასოდეს გაუტაცებია და არც მისი ნების საწინააღმდეგოდ უმოქმედია/მოქმედებს. მოსარჩელე მცირე დროით იმყოფებოდა საქართველოში, როდესაც მიმართა პოლიციას არარსებულ ძალადობის ფაქტებზე, იმ მოლოდინით, რომ მოხდებოდა მამის დაკავება, ხოლო როდესაც მასალების მოკვლევისას ეს არ დადასტურდა, მან დატოვა საქართველოს ტერიტორია. მოპასუხე თავად აპირებს მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს ბავშვზე შესაძლო ძალადობისა და ცრუ დასმენის მოთხოვნით.

მოპასუხე მამა აღნიშნავს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლო არ წარმოადგენს უფლებამოსილ სასამართლოს განიხილოს დავა სარჩელში წარმოდგენილი საფუძვლით, ასევე არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რომელიც



შესაძლებლობას მისცემდათ ემსჯელათ მხარეთა შორის რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე დავის ხასიათსა და შინაარსზე. მიღებული გადაწყვეტილებაც არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რადგან არ არის დაცული საქართველოს კანონის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ მოთხოვნები. დოკუმენტის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხი კი მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო ვერ დაადგინა რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს ტერიტორიაზე ბავშვის გადაადგილების არამართლზომიერებას ან/და მართლზომიერებას, რადგან საქართველოს რუსეთის ფედერაციასთან არ აქვს შესაბამისი თანამშრომლობის ხელშეკრულება/შეთანხმება. კერძოდ: „ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის საფუძველზე ვერ მოხდება ურთიერთობის დარეგულირება, რადგან საქართველოს რუსეთის ფედერაციასთან არ აქვს ხელმოწერილი შეთანხმება/ხელშეკრულება ამ კონვენციის ფარგლებში თანამშრომლობის თაობაზე. იმისათვის რომ, კონვენცია ამოქმედდეს, მოცემულ შემთხვევაში, ბავშვი გადაადგილებამდე ან დაკავებამდე ჩვეულებრივ უნდა ცხოვრობდეს კონვენციის ხელშემკვრელ ქვეყანაში. კონვენცია მოქმედებს მხოლოდ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის. საქართველოსა და რუსეთს შორის კი არ არსებობს ორმხრივი ურთიერთობა კონვენციიდან გამომდინარე საკითხებზე ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რაც გამორიცხავს საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი სასამართლოების მიერ საქმეთა წარმოების დაწყებას. გარდა აღნიშნულისა, საქართველოში მოპასუხისა და მისი შვილის ყოფნა ავტომატურად არ ნიშნავს ბავშვის არამართლზომიერად დაკავებას. მოპასუხის სურვილია, ორივე მშობელმა თანაბრად იზრუნოს შვილის აღზრდა/განვითარებაზე, რაც მოსარჩელისთვის მიუღებელია და შურისძიების მიზნით, ცდილობს ზიანი მიაყენოს მას. სარჩელში

მითითებული ტერმინებიც „გადაცემა“, „ჩამორთმევა“ არის დისკრიმინაციული ხასიათის, შეურაცხმყოფელი და არ შეიძლება ემსახურობდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესს. ბავშვს არ აქვს არავითარი სახის განვითარების შეფერხება. პირიქით, საკმაოდ განვითარებული ბავშვია ასაკის შესაბამისად, თავისუფლად და გამართულად საუბრობს რუსულ და ინგლისურ ენებზე, სწავლობს ფრანგულ ენას, თამაშობს ჭადრაკს, ესწრება ბალეტის ვიდეო-გაკვეთილებს, ხატავს და ა.შ. მოსარჩელის მიზანია, ბავშვის სურვილი და ნება შეზღუდოს, თითქოს მას გარკვეული სახის განვითარების შეფერხება აქვს. ასეთი ქმედება დედის მხრიდან შეიცავს როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ძალადობის ნიშნებსაც. შესაბამისად, მოპასუხე მხარე არ ეთანხმება სარჩელს და მოითხოვს, უარი ეთქვას მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქმის პროცედურული ისტორია:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით დედის სარჩელი მამის მიმართ არამართლზომიერად გადაადგილებული/დაკავებული ბავშვის დაბრუნების თაობაზე, დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილებით დადგინდა არასრულწლოვანის რუსეთის ფედერაციაში დედასთან ერთად დაბრუნება. ბავშვის დედისთვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალა მამას. მოსარჩელის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით მამის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. ამავე გადაწყვეტილებით მამის შუამდგომლობა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 მარტის განჩინებით დადგენილი აკრძალვის ნაწილობრივ შეცვლისა და საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, არასრულწლოვანის ზამთრის კურორტზე დროებითი გადაადგილების უფლების მინიჭების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე დედამ კერძო საჩივარი წარადგინა და დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება, ასევე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინებით დედის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებული გარემოება, რის გამოც კერძო საჩივარი დააკმაყოფილა და გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიაქცია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინება, რომლითაც დედის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ დაკმაყოფილდა, მამამ ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად, კერძო საჩივრით გაასაჩივრა და ამასთანავე, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ

განჩინების შეჩერების შესახებ იშუამდგომლა.

2022 წლის 31 იანვრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, მამის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და შეჩერდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინების საფუძველზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების მიზნით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ, 2021 წლის 29 დეკემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მამის საკასაციო საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2022 წლის 11 თებერვალს, საქართველოს უზენაესმა სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მამის საკასაციო საჩივარი არსებითი განხილვისთვის მიიღო. სასამართლოს 2022 წლის 11 თებერვლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დასაბუთება:

სასამართლოს შეფასებით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციის (ძალაშია 1994 წლიდან, მიერთებულია, როგორც საქართველო, ასევე რუსეთის ფედერაცია) 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ თავისუფლად და დაუბრკოლებლად მიმართონ ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები.

იმისათვის რომ, 1980 წლის კონვენცია შევიდეს ძალაში ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის, რომელიც მიუერთდა კონვენციას, ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა გამოაცხადონ მიერთების ნება. ცნობილია, რომ როგორც რუსეთის ფედერაცია, ასევე საქართველო (რეტიფიცირებულია 1997 წლის 1 ოქტომბერს) წარმოადგენენ „1980 წლის კონვენციის“ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს და არ არსებობს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსთან შეთანხმება ამ მიერთების აღიარების შესახებ, მიუხედავად ამისა, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, მინსკის კონვენციისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის დებულებებზე დაყრდნობით, მოცემული საკითხის განხილვისას, გამოიყენოს 1980 წლის კონვენცია „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“, აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნული კანონმდებლობა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLII2 თავი) ეფუძნება და იყენებს ამ კონვენციის ტერმინებს/დებულებებს, ასევე ამ კონვენციის ტერმინებს მსგავსი საკითხების გადაწყვეტისას იყენებენ არა-ხელშემკვრელი სახელმწიფოებიც ნაცვალგების პრინციპისა და კეთილი ნების საფუძველზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი და უპირატესია ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მისი გათვალისწინება. კონვენცია კიდევ რომ არ იყოს გამოყენებული, სახელმწიფოები ვალდებული არიან გამოიყენონ დიპლომატიური არხები ბავშვის დასაბრუნებლად, რომელიც არამართლზომიერად იქნა წაყვანილი ან დაკავებული უცხო ქვეყანაში (თანამშრომლობა საელჩოებისა და საკონსულოების დახმარებით).

1980 წლის კონვენციის პრეამბულის თანახმად, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების მიზანს წარმოადგენს, უზრუნველყონ ბავშვის საერთაშორისო დაცვა მათი არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების მავნე შედეგებისაგან და დაადგინონ პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ სწორად დაბრუნებას მათი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში და აგრეთვე იძლევიან ურთიერთობის უფლებათა დაცვის გარანტიას. ამავდროულად, კონვენციის პრეამბულაშივე ხაზგასმით მითითებულია ბავშვების ინტერესების უმთავრეს მნიშვნელობაზე. ამდენად, ივარაუდება, რომ კონვენციით მოწესრიგებული ის პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობს არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის სწრაფ დაბრუნებას ჩვეულ საცხოვრებელ ადგილზე და მეურვეობის უფლებათა ეფექტიანად განხორციელებას, ემსახურება მხოლოდ ბავშვის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ 2021 წლის 24 აგვისტოს და 09 სექტემბერს მოუსმინა არასრულწლოვანს და მოისმინა მისი მოსაზრება დავის საგანთან დაკავშირებით. არასრულწლოვან ბავშვს ორივე მშობელი ძალიან უყვარს, სურს ორივე მათგანთან თანაბრად ჰქონდეს ურთიერთობის საშუალება. მისი ემოციური დამოკიდებულება მშობლების მიმართ დადებითია, თუმცა უფრო მეტ პოზიტიურ მიჯაჭვულობას მამის მიმართ ავლენს. ბავშვი ნათლად გამოხატავს დედასთან ყოფნის და ურთიერთობის სურვილს, თუმცა ქ. მოსკოვში დაბრუნება არ სურს, რადგან ქ. ბათუმი უფრო მოსწონს.

აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის წარმომადგენელი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, რომლებიც დაესწრნენ

როგორც საცხოვრებელ მისამართზე, ასევე სასამართლო შენობაში ბავშვთან გასაუბრებას, ერთხმად ადასტურებენ, რომ ბავშვი არის კომუნიკაბელური, საუბრობს ხალისით მისთვის საინტერესო საკითხებზე, ხოლო დედის მისამართით საუბრისას თავშეკავებულია და იგრძნობს მამის ირიბი გავლენა. ბავშვს მოსწონდა ქ. მოსკოვში ცხოვრება, როცა ერთად იყვნენ ყველანი (დედა, მამა, ბებიები და ბაბუები), მაგრამ ახლა ბათუმში უფრო მოსწონს.

დავის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პრესნის რაიონული სასამართლოს წარმომავალ არსებულ სამოქალაქო საქმეზე, დედის სარჩელის გამო მამის მიმართ (დავის საგანი: არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა). 2020 წლის 18 ნოემბერს აღნიშნულმა სასამართლომ, საქმესთან დაკავშირებით შეგროვებული მტკიცებულებების, მათ შორის, პრესნის მუნიციპალური ოკრუგის (ოლქი) ადმინისტრაციის სპეციალისტის მიერ, დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბინის საცხოვრებელი-საყოფაცხოვრებო პირობების გამოკვლევის აქტის, რომელიც შედგენილი იყო ასევე პრესნის მუნიციპალური ოლქის ადმინისტრაციის წარმომადგენლის წერილობითი დასკვნისა და ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით, მიიღო შემდეგი განჩინება: „არასრულწლოვანი გოგონას ბინადრობის ადგილად განისაზღვროს დედის საცხოვრებელი ადგილი აღნიშნულ სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. განჩინება წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ არასრულწლოვანი ბავშვი ჩამოერთვას მამას და გადაეცეს გოგონას დედას“. ეს განჩინება შესულია კანონიერ ძალაში და გაცემულია სააღსრულებო ფურცელი მის აღსასრულებლად. ამდენად, არასრულწლოვანის მეურვეობის უფლება უკვე გადაწყვეტილია მისი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სასამართლოს მიერ.

სასამართლო იზიარებს, როგორც მოსარჩელე მხარის, ასევე სოც. მუშაკისა და ფსიქოლოგის პოზიციას სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით - არამართლზომიერად გადაადგილებული/დაკავებული ბავშვის რუსეთის ფედერაციაში, დედასთან დაბრუნების თაობაზე. ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მისთვის უსაფრთხო და სტაბილური ფსიქო-ემოციური გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანია, რომ ორივე მშობელი თანაბრად იყოს ჩართული მისი ზრდა-განვითარების პროცესში და ინანილებდნენ უფლება-მოვალეობებს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე, კერძოდ, მოსარჩელე ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში, ხოლო მოპასუხის ამჟამინდელ ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს საქართველო, ქ. ბათუმი. ამასთან, მშობლებს შორის არის კონფლიქტური ურთიერთობა, რამაც ასახვა არ უნდა ჰქონდეს ბავშვის ზრდა-განვითარების პროცესზე, მის ემოციურ მდგომარეობაზე. სოციალური სამსახურის პოზიციის თანახმად, ამ ასაკის (6 წლის) ბავშვის სურვილი, თუ სად ურჩევნია ცხოვრება, უნდა გადაწყდეს კანონის საფუძველზე მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. საქმის მასალებით ბავშვზე დედის მხრიდან რაიმე ზეწოლის ფაქტები არ დასტურდება, პირიქით გამოიკვეთა ბავშვის სიამოვნება და დადებითი დამოკიდებულება დედასთან ურთიერთობისას.

სასამართლო, მოცემულ შემთხვევაში, ადგენს, რომ დედის, მეურვეობის უფლების მქონე პირის და ბავშვის ნების საწინააღმდეგოდ ჰქონდა ადგილი ბავშვის არამართლზომიერად გადაადგილებას და საქართველოს ტერიტორიაზე მის დატოვებას, არამართლზომიერად დაკავებას. 2020 წლის 09 ოქტომბრამდე ბავშვი იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში დედასთან, აღზრდა-განვითარებისათვის მისაღებ გარემოში, დადიოდა საბავშვო ბაღში, შემდეგ კი მოტყუებით მოხდა მისი ჩამოყვანა საქართველოს ტერიტორიაზე მამის მიერ.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ დასტურდება სერიოზული რისკის არსებობა იმის თაობაზე, რომ გარემო, რომელშიც ბავშვი, რუსეთის ფედერაციაში დაბრუნების შემდეგ აღმოჩნდება, შეუქმნის მას ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს. მოცემულ შემთხვევაში, მრავალი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, დაბრუნება ბავშვის სამომავლო კეთილდღეობას შეუწყობს ხელს, რაც უპირველესად მისი ინტერესებიდან გამომდინარეობს. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დედა-შვილური ურთიერთობები არ შეიძლება გაუცხოვდეს, რომლის დანაკლისმაც შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს ბავშვის ფსიქო-ემოციურ განწყობაზე და უარყოფითი ეფექტი/შედეგი მოგვცეს ბავშვის სწორად აღზრდის საქმეში. თავად მოპასუხე მხარე აღიარებს, რომ ბავშვს სჭირდება დედის და მამის მზრუნველობის გარემოში ცხოვრება. მაგრამ მისი ქმედებით ეს სურვილი არ მტკიცდება.

სასამართლოს მითითებით, გაზიარებული ვერ იქნება მოპასუხე მხარის მოსაზრებები საქმეში არსებული რუსეთის ფედერაციის სასამართლო გადაწყვეტილებების, სააღსრულებო ფურცლის და სოციალური სამსახურისა და ფსიქოლოგის დასკვნების არასრულობისა და სადავოობის თაობაზე. მოპასუხეს კი უფლება აქვს ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული დამატებითი პრეტენზიების განხილვა მოახდინოს იმ ქვეყნის სასამართლოში, რომელიც წარმოადგენს ბავშვის ჩვეული საცხოვრებელი ადგილის ქვეყანას (რუსეთის ფედერაცია).

არასრულწლოვანის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში გადაადგილების საქმე (2020-მიმდინარე)



საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე მამა და მოპასუხე დედა 2015 წლიდან იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში. მოსარჩელე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეა, მოპასუხე - საქართველოს. მათ ერთობლივი თანაცხოვრების პერიოდში, 2016 წლის 02 ივლისს შეეძინათ შვილი. გერმანიის ცენტრალური ორგანოს ცნობით, 2020 წლის სექტემბერს დედამ არასრულწლოვანი ჩამოიყვანა საქართველოში და მამის თანხმობის გარეშე არამართლზომიერად ჰყავს დაკავებული საქართველოს ტერიტორიაზე. მხარეებს შორის დაიწყო მოლაპარაკების პროცესი, თუმცა ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არასრულწლოვანის ნებაყოფლობით დაბრუნებასთან დაკავშირებით.

2016 წლის 28 ივნისს ხელი მოაწერეს ბავშვზე ერთობლივი მზრუნველობის შეთანხმებას, რომლის თანახმად, ერთობლივი ზრუნვის შეცვლის საკითხი მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება შეცვლილიყო. მშობლების თანაცხოვრების პერიოდში, მათ შორის არსებული კონფლიქტების და უთანხმოების გამო, 2017 წლის აპრილის თვეში, დედამ მამის საცხოვრებელი დატოვა, როდესაც ბავშვი იყო 10 თვის და გადავიდა ქ. ლიმბურგში, ქალთა თავშესაფარში, სადაც ორი თვე დაჰყო, ხოლო შემდეგ ქ. ინგელჰაიმში, სადაც ბავშვთან ერთად დაიქირავა საცხოვრებელი სახლი და საქართველოში გამომგზავრებამდე ცხოვრობდა.

2017 წლის 4 დეკემბერს, ბინგენის პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მშობლების ბავშვთან ურთიერთობის წესის შესახებ, კერძოდ, მამას მიეცა საშუალება ბავშვი ყოველ 14 დღეში შაბათი დღის 10:00 საათიდან კვირა დღის 17:00 საათამდე, თავისთან წაეყვანა. მამას წელიწადში სამი კვირის განმავლობაში საშვებულებო პერიოდი ბავშვთან შეეძლო გაეტარებინა.

2020 წლის 03 იანვარს ინგელჰაიმის საპოლიციო ინსპექციამ მამის მიმართ მიიღო შემაკავებელი ორდერი, რომლის მიხედვითაც, მამას 6 თვის ვადით აეკრძალა დედასთან არათუ ნებისმიერი ფორმით მიახლოება, არამედ მასთან კომუნიკაციაც კი. აღნიშნულის შემდეგ, მამა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაუკავშირდა დედას და განუცხადა, რომ შეესრულებინა სასამართლოს გადაწყვეტილება, დაერთო ნება ბავშვთან ურთიერთობისთვის და დაემუქრა, რომ ჩამოართმევდა მზრუნველის უფლებას.

დედამ მამის მხრიდან ბავშვზე სექსუალური ძალადობის ფაქტებზე ორჯერ მიმართა „ვილდვასერ ვისბადენს“ - სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ დარგობრივი კონსულტაციების დაწესებულებას გერმანიაში. ამ დაწესებულების მიერ 2020 წლის 27 აპრილის დასკვნა, დედის მიერ გადმოცემული ფაქტების საფუძველზე, დეტალურად აღწერს იმ შემთხვევებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მამის მხრიდან ბავშვის მიმართ და ასკვნის, რომ არასრულწლოვანმა მამის მხრიდან სექსუალური ძალადობა განიცადა. დედის განმარტებით, იგი აკვირდებოდა, თუ როგორ ონანირებდა მამა თავისი ქალიშვილის თვალწინ. ყველა სექსუალური ქმედება, რომელიც გოგონების და ბიჭების მიმართ მათი სურვილის წინააღმდეგ ხორციელდება ან რომელსაც ისინი სხეული, სულიერი ან ენობრივი ჩამორჩენის გამო შეუცნობლად ეთანხმებიან, სექსუალური ძალადობაა. სექსუალური ძალადობა არის დამაზიანებელი მოვლენა ბავშვების მიმართ, განიცდიან და თავს დამნაშავე-მსხვერპლის დინამიკაში დაჭერილს ხედავენ. მამასთან კონტაქტის დროს (თანხმობი პირის არსებობის შემთხვევაშიც) საშიშია, რომ ეს დამაზიანებელი დინამიკა გაგრძელდება და მას ვეგეტატიური, ფსიქიკური და/ან სომატური სიმპტომები მოჰყვება. რისკის შეფასების თვალსაზრისით არსებობს

საფრთხე ამის შემდგომ ბავშვის მამასთან კონტაქტი მისთვის დამაზიანებელი იყო. მისივე კეთილდღეობისათვის უფრო მეტად უნდა შეფასდეს ეს საფრთხე, ვიდრე მისი მამასთან კონტაქტის მნიშვნელობა. გერმანიაში არსებული სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ დარგობრივი კონსულტაციების დაწესებულება მოცემულ შემთხვევაში, მამა-შვილის ურთიერთობის გაგრძელებას აფასებს, როგორც ბავშვის კეთილდღეობის შეზღუდვას, რომელსაც შესაძლოა არასრულწლოვანის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვეს.

დედამ ბავშვის და პირადი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე შეიძინა ავია-ბილეთები და ბავშვთან ერთად საქართველოში გამოემგზავრა 2020 წლის 09 სექტემბერს, გაიარა საკარანტინე პერიოდი და დაბრუნდა ოჯახის წევრებთან ოჯახში. 2020 წლის 20 ოქტომბერს, დედამ სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსაზღვრა. დედამ უზრუნველყო სარჩელისა და მასზედ თანდართული მასალების მამისთვის ჩაბარება. 15.12.2020 წელს, სასამართლოში წარდგენილი იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი, რომლითაც მოთხოვნილი იქნა არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრაზე წარმოებული დავის შეჩერება, ჰააგის 1980 წლის კონვენციის მოთხოვნიდან გამომდინარე. 2021 წლის 26 იანვრის სასამართლოს განჩინებით, ბავშვის არამართლზომიერი მოთხოვნის გადაწყვეტამდე, შეჩერდა დედის სარჩელზე საქმის წარმოება.

დედა საქართველოში შვილთან ერთად დაბრუნდა, რათა ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ხასიათის ძალადობისგან დაეცვა საკუთარი თავი და არასრულწლოვანი. მოპასუხე არ ეთანხმება მოსარჩელეს, რომელიც აღნიშნავს, რომ შვილის საქართველოში გამგზავრება წარმოადგენს მის არამართლზომიერად გადაადგილებას. ამასთან, არ ეთანხმება მოთხოვნას, ბავშვი დაბრუნდეს მამასთან, რომელსაც, აგრეთვე სურს, არასრულწლოვანი წაიყვანოს დამოუკიდებლად. მოპასუხე აღნიშნავს, რომ მოსარჩელე მოძალადე და დამნაშავეა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის განვითარებას და მომავალს.

სოციალური სამსახურის წარმომადგენლის ვიზიტი დედასთან სახლში შედგა 2020 წლის ნოემბრის თვეში. სოციალური მუშაკის დაკვირვებით, არასრულწლოვანი ბავშვი ძირითადად გერმანულ ენაზე საუბრობს. გერმანულ ენაზე აზრს გასაგებად გადმოსცემს და დედასთან აქტიურ კომუნიკაციაში შედის. დასკვნის თანახმად, ბავშვი არის აქტიური, კომუნიკაბელური, უყვარს თანატოლებთან თამაში და ცდილობს ქართული ისწავლოს. დედა ბავშვის მიმართ თბილი, ყურადღებიანი, მოსიყვარულე და მზრუნველია. დედა ბავშვის მიმართ ჯანსაღ მიჯაჭვულობას ამჟღავნებს. ბავშვს აქვს საკუთარი სათამაშო ოთახი, სადაც განლაგებულია მისი წიგნები, სათამაშოები და სხვა ნივთები. სახლი უსაფრთხოა და შეფასების მომენტში არ გამოვლენილა რაიმე ფაქტორი, რომელიც ბავშვისთვის საცხოვრებლის უსაფრთხოებაში ეჭვის შეტანის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო. დედა განმარტავს, რომ საქართველოში თავს უფრო დაცულად გრძნობს, ვიდრე გერმანიაში, სადაც სრულიად მარტო უწევდა მოძალადე პარტნიორთან გამკლავება.

დედა გერმანული ენის სპეციალისტია და საქართველოში დაბრუნების შემდეგაც, აგრძელებს თავის პედაგოგიურ საქმიანობას. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, არასრულწლოვანი თავს გრძნობს დაცულად, იმყოფება კეთილსაიმედო გარემოში, აქტიური კონტაქტი აქვს და მიჯაჭვულია დედასთან, განუზომლად უყვარს ბებია-პაპა, მეგობრობს თანატოლებთან, გამოხატავს დადებით ემოციებსა და ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა დადებითია. არასრულწლოვანი საქართველოში სრულიად ადაპტირებულია, რაც გამოხატულია არამხოლოდ დასახელებული სოციალური კონტაქტებით, არამედ ქართული ენის სწავლებით, ქართული სიმღერისა და ლექსის შესწავლით, რაზეც მიუთითებს საქმეზე წარმოდგენილი ბავშვის ყოველდღიურობის ამსახველი ფოტო-მასალა, ბავშვის ნახატები, ვიდეო-მასალები.

ბავშვზე დაკვირვების, მისი წარსული გამოცდილებების შესწავლისა და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ არასრულწლოვანის გერმანიაში დაბრუნება დედის გარეშე მისთვის მძიმე ტრავმული გამოცდილება იქნება, გამოიწვევს ფსიქოლოგიური პრობლემებს და მატრავმირებული იქნება ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობისათვის. ბავშვი განსაკუთრებულ მიჯაჭვულობას ამჟღავნებს დედის მიმართ, ბავშვისათვის გარესამყაროსადმი ნდობა სრულიად განპირობებულია დედასთან ურთიერთობის მდგრადობით. მისთვის დედა სტაბილურობის გარანტია. იგივე პოზიცია იკვთება ფსიქოლოგიური კვლევის შედეგადაც, კერძოდ, ფსიქოლოგის დაკვირვებით, განსაკუთრებული მჭიდრო მიჯაჭვულობა აკავშირებთ ერთმანეთის მიმართ დედა-შვილს. მათ შორის გამოიკვეთა უპირობო სიყვარული.

არასრულწლოვანი თავს გრძნობს უსაფრთხო, მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა არის სტაბილური, მშვიდი ბავშვისთვის მნიშვნელოვანია ბიოლოგიური დედასთან ფიზიკური და სულიერი კონტაქტი. სწორედ აღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ როგორი იქნება ბავშვის ფსიქოლოგიური თუ ემოციური მდგომარეობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაბრუნების შემთხვევაში. ბავშვს სტაბილურობის, სიმშვიდის და დაცულობის განცდა ყველა სიტუაციაში და გარემოში დაკავშირებული აქვს დედასთან, შესაბამისად, წარმოუდგენელია მისი დედასთან დაშორება. აღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, სოციალური სამსახური მიუთითებს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლზე, რომლის მიხედვით, მიუხედავად წინმავალი მუხლის დებულებებისა, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის, გასცეს განკარგულება ბავშვის დაბრუნების თაობაზე, თუკი პირი, დაწესებულება ან სხვა ორგანო, რომელიც მის დაბრუნებას ეწინააღმდეგება დაადგენს, რომ არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ მისი დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიური საფრთხეს შეუქმნის ან სხვაგვარად ჩააყენებს ბავშვს აუტანელ მდგომარეობაში.

საქმის პროცედურული ისტორია: 2021 წლის 1 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სარჩელი დედის მიმართ, „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის შესაბამისად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში არამართლზომიერად გადაადგილებული და დაკავებული არასრულწლოვნის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაბრუნების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო გარეშე ხარჯები 1694.24 ლარი და იურიდიული მომსახურების ღირებულება 6000 ლარის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება მამამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. 2022 წლის 19 ივლისის მდგომარეობით, საქმეზე საქმისწარმოება დასრულებულია და მხარეები შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის მოლოდინშია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება:

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, კვლევის საგანია არასრულწლოვანის საქართველოში ყოფნის მართლზომიერება, ბავშვის უკან დაბრუნების მიზანშეწონილობა და არასრულწლოვანის მამასთან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაბრუნების ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან სრული შესაბამისობის დადგენა. ამასთან, სამართლებრივად უნდა შეფასდეს მოსარჩელის პრეტენზია იმ კონტექსტში, რომ ბავშვი არამართლზომიერად არის დაკავებული საქართველოში და აღნიშნული ეწინააღმდეგება თუ არა ბავშვის უპირატესად დასაცავ ინტერესს - იზრდებოდეს უსაფრთხო, მშვიდ, მზრუნველ და კეთილსაიმედო გარემოში.

სასამართლო არასრულწლოვანის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის თვალსაზრისით, ყურადღებას ამახვილებს ასევე სოციალური სამსახურის მიერ არასრულწლოვანთან მიმართებით ჩატარებულ ფსიქოლოგიური კვლევის შედეგებზე. ბავშვის გონებრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობა ასაკობრივ ნორმას შეესაბამება. არასრულწლოვანი გაბედულად გამოხატავს საკუთარ აზრს, აფიქსირებს სურვილებს. ფსიქოლოგის დაკვირვებით, პოზიტიური მშობლის როლი გამოიკვეთა დედა-შვილის ურთიერთობაში. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანის შემთხვევაში, გადამწყვეტ გარემოებას წარმოადგენს დედასთან ერთად ცხოვრების სურვილი, მასთან ემოციური მჭიდრო მიჯაჭვულობა აკავშირებს.

სასამართლო ბრძანებს, რომ მოცემულ ეტაპზე განსაზღვრული არ არის არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილი, ბავშვი დაბადებიდან 2020 წლის სექტემბრის თვემდე ცხოვრობდა გერმანიაში, ხოლო 09.09.2020 წლიდან იმყოფება საქართველოში.

მოცემული დავის ფარგლებში, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების“ შინაარსი და მიუთითებს, რომ ეს ტერმინი გულისხმობს მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელიც ქმნის ბავშვის უფლებათა ეფექტური განხორციელების გარანტიას ბავშვის უფლებათა დაცვის პრინციპების, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების და საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება არის მისაწვდომი, ასაკთან შესაბამისი, სწრაფი, თანმიმდევრული, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას სამართლიანი სასამართლო პროცესის, სასამართლო პროცესში მონაწილეობის და ინფორმირების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პატივისა და ღირსების პატივისცემის შესახებ

სასამართლომ ყურადღებას ამახვილებს ასევე ევროპული სასამართლოს მსჯელობაზე, რომლის თანახმადაც, „ჰააგის კონვენციის მიხედვით, დაბრუნების მოთხოვნის კონტექსტში, რომელიც გამიჯნულია მეურვეობასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისაგან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფცია უნდა შეფასდეს ჰააგის კონვენციით დაშვებული გამონაკლისების მიხედვით, რომელიც გულისხმობს დროის გასვლას (მუხლი 12), კონვენციის გამოყენების პირობებს (მუხლი 13.პ.ა) და სერიოზული რისკების არსებობას (მუხლი 13. პარ.ბ). ასევე, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებთან შესაბამისობა, რაც გულისხმობს ფუნდამენტური თავისუფლების და ადამიანის უფლებების დაცვას (მუხლი 20). ეს დავალება, პირველ რიგში, ეკისრება მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს, რომელსაც სხვა დანარჩენთან ერთად, აქვს მხარეებთან პირდაპირ ურთიერთობის უპირატესობა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე დავის გადაწყვეტისთვის უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა არასრულწლოვანი არამართლზომიერად გადაადგილებულ და საქართველოში უკანონოდ დაკავებულ ბავშვს და ასეთის დადგენის შემთხვევაში, იგი უნდა დაბრუნდეს თუ არა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. დედის მიერ ბავშვის საქართველოში ჩამოყვანა მოხდა ბავშვის მეორე კანონიერ წარმომადგენლის, მამის თანხმობისა და მისი ნებართვის გარეშე. მართალია, მხარე მიუთითებს, რომ ბავშვის მამისთვის ცნობილი იყო მოპასუხისა და არასრულწლოვანის საქართველოში გამომგზავრების შესახებ (რასაც მოწინააღმდეგე მხარე უარყოფს), თუმცა ნათელია, რომ ბავშვის დედას არ ჰქონდა მოსარჩელისგან თანხმობა არასრულწლოვანის საქართველოში ჩამოყვანის თაობაზე. შესაბამისად, ბავშვის გადაადგილების მართლზომიერების შემოწმებისას, უნდა აღინიშნოს, რომ მისი გადაადგილება არ მომხდარა ორივე მშობლის ურთიერთშეთანხმებით და ბავშვი წამოიყვანა დედამ საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ამ მხრივ, არ იკვეთება ბავშვის ინტერესების დარღვევის კუთხით რაიმე სახის გარემოება, ვინაიდან ბავშვის ერთ-ერთი მშობელი (დედა) წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს, მას საქართველოში ჰყავს მშობლები, აქვს საცხოვრებელი ადგილი, როგორც ზუგდიდის რაიონში, ისე თბილისშიც, გააჩნია საკუთრება და რეგისტრაციის ადგილი.

ამასთან, როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის ინფორმაციით, ბავშვი, ასევე ითვლება საქართველოს

მოქალაქედ. სასამართლოს განმარტავს, რომ ბავშვი „უკანონოდ დაკავებული“ არის იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არ იმყოფება თავის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას (იმ პირის თანხმობის, რომელიც, როგორც წესი, ახორციელებს მასზე მეურვეობას) და პირი, ვისთანაც იგი იმყოფება, არ აბრუნებს მას.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ არასრულწლოვანი დაბადებიდან ცხოვრობს და იზრდება დედასთან, მასზე მუდმივ რეჟიმში მზრუნველობას ახორციელებს მხოლოდ დედა და აქედან გამომდინარე ბავშვისთვის სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს დედა. ამდენად, დედა არის სწორედ ის პირი, ვინც ბავშვზე დაბადებიდან ახორციელებს მეურვეობას და სწორედ მასთან ერთად ჩამოვიდა ბავშვი საქართველოში და იმყოფება მისი მზრუნველობის ქვეშ, უსაფრთხო, კეთილსაიმედო, მისთვის კომფორტულ გარემოში.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ჰააგის კონვენციის ფარგლებში მიღებული და დამკვიდრებული კონცეფციის თანახმად, ჩვეული საცხოვრებელი ადგილი განსხვავდება ტერმინისგან - „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“, რადგან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის კვალიფიკაციისთვის საჭიროა, არსებობდეს კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილას მუდმივად ცხოვრების განზრახვა. ჩვეული საცხოვრებელი ადგილის კვალიფიკაციისთვის ასეთი კრიტერიუმები არ არის დადგენილი. ჩვეული საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრება მთლიანად ფოკუსირებულია ბავშვზე, მის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, კონკრეტულ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობაზე, მის ემოციურ და სულიერ კავშირზე ან ადგილთან, გარემოში მის ინტეგრირებაზე. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანი არ წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერად დაკავებულ ბავშვს.

სასამართლო დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყურადღებას ამახვილებს მოპასუხის მთავარ არგუმენტზე, თუ რატომ გახდა იძულებული დაეტოვებინა გერმანია და თავისი და არასრულწლოვანი შვილის უსაფრთხოების მიზნით ჩამოსულიყო საქართველოში. მოპასუხე აპელირებს არასრულწლოვანის მიმართ მამის მხრიდან გამოვლენილი სექსუალური ხასიათის შემცველ, ამორალურ და ღირსების შემლახველი მოპყრობის ქმედებებზე. დადგენილია, რომ მოსარჩელის მხრიდან არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტის არსებობის დასადასტურებლად, სასამართლო მხოლოდ მოწმის ქ. შ.-ს და „ვილდვასერ ვისბადენს“ - სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ დარგობრივი კონსულტაციების დაწესებულების დასკვნას საკმარისად არ მიიჩნევს. ქ.შ. როგორც მოწმის ჩვენებით თანმიმდევრულად გადმოსცემს მხოლოდ იმ ფაქტებს რომელიც მან იცის დედისგან და ასევე, ელექტრონული მიმოწერის (მესინჯერით) დროსაც, იგი მხოლოდ იგებს დედისგან ინფორმაციას მიმდინარე მოვლენებზე და თითონ არ არის მომსწრე არც ერთი ფაქტისა, უფრო მეტიც იგი არ იცნობს პირადად ბავშვის მამას, არ შეხვედრია მას. ასევე, „ვილდვასერ ვისბადენს“ - სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ დარგობრივი კონსულტაციების დაწესებულების მთლიანი დასკვნა ეყრდნობა იმ ფაქტებს და მოვლენებს, რასაც თავად მხარე, დედა ატყობინებს მათ. პირდაპირი, უშუალო და სარწმუნო მტკიცებულება იმისა, რაც დაადასტურებდა სექსუალური ხასიათის ქმედებების განხორციელებისა მოსარჩელის მხრიდან, საქმეში წარმოდგენილი არ არის, თუმცა საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს კომპეტენტური ორგანოს ზოგადი მიმოხილვა ბავშვის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესაძლო შედეგებზე.

სექსუალური ძალადობა არის დამაზიანებელი მოვლენა ბავშვების მიმართ, განიცდიან და თავს დამნაშავე-მსხვერპლის დინამიკაში დაჭერილს ხედავენ. მამასთან კონტაქტის დროს (თანხმობის პირის არსებობის შემთხვევაშიც) საშიშია, რომ ეს დამაზიანებელი დინამიკა გაგრძელდება და მას ვეგეტატიური, ფსიქიკური და/ან სომატური სიმპტომები მოჰყვება. რისკის შეფასების თვალსაზრისით არსებობს საფრთხე ამის შემდგომ ბავშვის მამასთან კონტაქტი მისთვის დამაზიანებელი იყოს. მისივე კეთილდღეობისათვის უფრო მეტად უნდა შეფასდეს ეს საფრთხე, ვიდრე მისი მამასთან კონტაქტის მნიშვნელობა.

სასამართლო იზიარებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს პოზიციას სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით. აღსანიშნავია ის ემოციური სტაბილურობისა და უსაფრთხოების შეგრძნება, რომელზეც არასრულწლოვანთან გასაუბრებისა და ფსიქოლოგის შეფასების შედეგად, სოციალურმა სამსახურმა გამოკვეთა. ამდენად, ბავშვის უკან, მამასთან გერმანიაში დაბრუნების სანაღმდეგოდ, მოპასუხე მხარეს მოჰყავს არგუმენტი მასზე, რომ ბავშვი ადაპტირებულია საქართველოში ცხოვრებასთან და დაბრუნებამ შესაძლოა მას განუზომელი ფსიქო-ემოციური სტრესი და ზიანი მიაყენოს, რასაც სრულად ეთანხმება მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი და სოციალური სამსახურის ფსიქოლოგი. დედის მიმართ არასრულწლოვანი ნათლად ავლენს პოზიტიურ მიჯაჭვულობას, სიტბოს და სიყვარულს, ფსიქოლოგის შეფასებით კი, მშობლიური პოზიტიური, სანდრო მიჯაჭვულობის რღვევა ძლიერ უარყოფითი გავლენის გამომწვევი შეიძლება გახდეს ბავშვის ჯანმრთელობასა და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არასრულწლოვანის დაბრუნება ბავშვს დედასთან არსებული პოზიტიური მიჯაჭვულობიდან გამომდინარე შეუქმნის ფსიქოლოგიურ საფრთხეს. ამდენად, მისი გერმანიაში დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული ვერ იქნება. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ გამომდინარეობს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებიდან. ამასთან, მამის მხრიდან არ იქნა მიღებული სანდო და დამაჯერებელი პასუხი, თუ რა გარემოში და ვისი მზრუნველობის ქვეშ იქნება ბავშვი გერმანიაში დაბრუნების შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ დასტურდება სერიოზული რისკის არსებობა, მასზე, რომ საქართველოში არასრულწლოვანის დედასთან ერთად ცხოვრების გაგრძელება რაიმე სახის ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის.

ჩვენს შესახებ

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094

მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ #171

ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;

იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი

დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი

ვებ-გვერდი: www.barristers.ge

FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi

ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“,

ანგარიშის ნომერი: GE31BG000000161544925GEL

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდა სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას.

ორგანიზაცია მონაწილეობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, სამართლებრივი, პოლიტიკური საკითხების განხილვაში, წარადგენს შეფასებებსა და განცხადებებს, შეიმუშავებს ინიციატივებს, მიმართვებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და ახორციელებს მათ ლობირებას. ამზადებს კვლევებს, დასკვნებს, პროექტებს, ანგარიშებს. ახორციელებს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესწავლას და მონიტორინგს. უზრუნველყოფს მოქალაქეების ინტერესების დაცვას და წარმომადგენლობას ყველა დონეზე, მათ შორის საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოებთან, სასამართლო ინსტანციებში, კერძო და საერთაშორისო არბიტრაჟში. ხელს უწყობს სამოქალაქო კამპანიების ჩატარებას, სამართლისა და ადამიანის უფლებების მიმართ მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას, დაცვის ინსტიტუტის პოპულარიზაციას. ორგანიზებას წევს კონფერენციების, სემინარების, მრგვალი მაგიდების ჩატარებას, თანამშრომლობს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ჯგუფებთან და გაერთიანებებთან.

ორგანიზაციის პლატფორმა ეფუძნება აღმასრულებელ გუნდის პერიოდულ განახლებას კვალიფიციური და პროფესიონალი ახალგაზრდების მეშვეობით. ორგანიზაციის აღმასრულებელ გუნდში სხვადასხვა დროს მოღვაწე პირები დღეს წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში, კერძო სექტორში, ბიზნესში, ადამიანის უფლებათა სფეროში, საერთაშორისო ორგანიზაციებში. პლატფორმის მიზანია იმ ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, რომელიც ორგანიზაციის საქმიანობას და საუკეთესო ტრადიციებს შეუძლია. აღმასრულებელი გუნდის განახლება მუდმივად ეფუძნება ღია, გამჭვირვალე და მიუკერძოებელ კონკურსის შედეგებს. შესაბამისად, ორგანიზაციის აღმასრულებელ გუნდში მოხვედრა თითოეული კანდიდატის გამომწვევაა, რასაც მუდმივად მოწმობს ყოველი კონკურსის დროს რეგისტრირებულ აპლიკანტთა სიმრავლე.

2022 წლის იანვარში, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გახდა არასამთავრობო ორგანიზაციების მსოფლიო ასოციაციის (WANGO) სრულუფლებიანი წევრი.

2020 წელს ბავშვთა უფლებების საუკეთესო ადვოკატირებისთვის ორგანიზაციას გადაეცა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის_ იუნისეფის კეთილი ნების ელჩის ნიკა რაჭველის სპეციალური სამადლობლო ჯილდო.

2017 წელს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ორგანიზაცია ადამიანის უფლებების დაცვისა და პროფესიული ერთგულებისთვის, სპეციალური სიგელით დააჯილდოვა.

2016-2014 წლებში, ორგანიზაცია წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრს.

2016 წელს, მიწვეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უმაღლესი სკოლის შექმნის სამუშაო ჯგუფში.

2015 წლიდან მიწვეულ იქნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან მიწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლის აპრილში, მიწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად. 2015-2018 წლებში, წარმოადგენდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს წევრს. 2015 წელს დააფუძნა სამოქალაქო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოციაციის ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“. 2015 წელს ჩაერთო „Peace Corps“-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებში, 6 თვის მანძილზე, ორგანიზაცია გაძლიერდა სტრატეგიული პროექტების მომზადების, საერთაშორისო პარტნიორობით კომუნიკაციის, ადამიანური რესურსის მართვისა და ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვის საკითხებზე.

2014 წელს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადანაცვებით, ორგანიზაცია საქართველოში დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი.

2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრს. 2012 წელს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრს.

2012 წლიდან არის არასამთავრობოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის“ თანადაამფუძნებელი და წევრი.

ორგანიზაციის სამოქალაქო პოზიციისა და ჩართულობის მაგალითს წარმოადგენს 2017 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ დავით ასათიანის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრის შესარჩევ კონკურსში ქეთევან ბეჟაურის წარდგენა და მხარდაჭერა, 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად თემო ჭეიშვილის წარდგენა და მხარდაჭერა, 2015 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველად ლია მუხაშაურიას კანდიდატურის წარდგენა და მხარდაჭერა.

ორგანიზაცია თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. განხორციელებული პროექტებიდან გამორჩეულად მნიშვნელოვანია 2021-2022 წლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი: „ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში ჰააგის კონვენციის მიხედვით“, რაც პირველად განხორციელდა საქართველოში. ამასთან, 2017-2015 წლებში, საქართველოს მთავრობის „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, გამარჯვებული პროექტი: „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა უფასო იურიდიული დახმარება“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა მიგრანტების წინაშე არსებული იურიდიული პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება, რეაგირება და გადაჭრა.

მიგრანტების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზებზე. 2016 წელს, ორგანიზაციას პროექტის მაღალი პასუხისმგებლობით და წარმატებით განხორციელებისთვის, გადაეცა სახელმწიფოს მადლობის სიგელი.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დაასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონშეუსაბამო მოქმედებების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია დასახელებულ პერიოდში სისტემური დანაშაულის საქმეებზე, ცალკეული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომლიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს. ორგანიზაცია აგრძელებს არაერთ გახმაურებულ საქმეზე ადვოკატირებას, რომელიც შეეხება სისტემური დანაშაულის შედეგების აღმოფხვრას სასამართლო გზით.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოქმედებს წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც ამჟამად განახლებულია 2018-2020 წლების საქმიანობისთვის. ამასთან, 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გადავიდა კაბინეტურ მმართველობაზე. ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, ხელმძღვანელობს არჩეული ხელმძღვანელი, რომელიც აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

ორგანიზაციამ 2014 წლიდან საფუძველი ჩაუყარა ტრადიციას, როდესაც წლის საქმიანობის ღონისძიებაზე აღინიშნება პროფესიული წრისა და იმ ინსტიტუციების დამსახურებული როლი, რომლებმაც ორგანიზაციასთან თანამშრომლობის პროცესში ან საზოგადოებრივი მაღალი ნდობის პირობებში, საკუთარი უფლებამოსილება და ვალდებულება კეთილსინდისიერად შეასრულეს. შესაბამისად, „ნომინაციები და ნომინანტების“ ფარგლებში, აღმასრულებელი გუნდის გადაწყვეტილებით, ჯილდოვდება შესაბამისი სასამართლო ინსტანცია, საჯარო უწყებები, კერძო სექტორი, მედია-გამოცემები, ხოლო კიდევ ერთი ნომინაცია: „თავისუფალი სიტყვის დამცველი“, პერსონიფიცირებულად გადაეცემა ჟურნალისტებს. ორგანიზაციის ტრადიციას წლის შემაჯამებელი ღონისძიების მასშაბური დაგეგმვა, წლის შემაჯამებელი გამოცემის მომზადება, რომლის გარეკანიც ყოველთვის ეძღვნება ადამიანის უფლებების სფეროში წლის მანძილზე არსებულ მნიშვნელოვან მოვლენას, წლის საქმიანობის ვიდეო-რგოლის წარმოდგენა და ორგანიზაციას აქვს მიდგომა, როდესაც საქმიანობას წლის მანძილზე უკავშირებს რომელიმე ჯგუფის უფლებებზე განსაკუთრებულ მუშაობას. ასე, მაგალითად, 2022 წელი აღიარებულ იქნა განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობის წლად, 2021 წელი - შრომის უფლებებზე მუშაობის წლად, 2020 წელი ბავშვთა უფლებებზე მუშაობის წლად, 2019 წელი სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების წლად, 2018 - კანონშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობის წლად, 2017 - სასამართლოს პრობლემატიკის კვლევის წლად, 2016 - ბანკების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის საქმეებზე მუშაობის წლად, 2015 - სამართლიანობის აღდგენის პრობლემებზე მუშაობის წლად, ხოლო 2014 - ბავშვთა უფლებების დაცვის წლად.

ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს იურიდიული კომპანია „კაიკაციშვილი და ადვოკატებთან“ პარტნიორობით და მეშვეობით. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები. ასევე, იურიდიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი, რაც ფრაგმენტული პროექტების მიუხედავად, წარმოადგენს ორგანიზაციის ერთადერთ შემოსავლის წყაროს.

